კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თათია მოსია

საქორწინო ასაკის სამართლებრივი მოწესრიგება

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან დუნდუა

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

თათია მოსია ----------

თარიღი: 22.06.2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია თემაზე: საქორწინო ასაკის სამართლებრივი მოწესრიგება

ნაშრომი მოიცავს: სარჩევს, შესავალს, ხუთ თავს (ოჯახის ცნება და ქორწინების ინსტიტუტი, ისტორიული მიმოხილვა, ქორწინების რეგისტრაციის ვადები და საქორწინო ასაკის ცენზები სხვადასხვა ქვეყნებში, საკანონმდებლო ცვლილება და ხარვეზი კანონმდებლობაში, სტატისტიკა), დასკვნასა და გამოყენებულ ლიტერატურას. ნაშრომის შესავალში საუბარია: წინამდებარე ნაშრომის თემის აქტუალობაზე, კვლევის ამოცანებსა და მიზანზე, თემასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე.

ნაშრომში განხილულია საოჯახო სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტები, როგორიცაა ქორწინება და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი გაურკვეველი ნორმა და ჩვენ მიერ წარმოდგენილია აღნიშნული პრობლემური საკითხების გამოსწორების გზები. იგი ეხება საქორწინო ასაკთან დაკავშირებულ პრობლემის არსს, ქართულ საოჯახო სამართალში არსებულ ხარვეზებს საოჯახო სამართლის სუბიექტთა ურთიერთობებში. ნაშრომში მიმოხილული იქნება შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურა კვლევის ადეკვატურ მეთოდებთან ერთად.

ნაშრომში ასევე განხილულია ქორწინების ინსტიტუტის ძველი ქართული ისტორიული ასპექტები, ნათლადაა წარმოდგენილი ის ცვლილებები, რომლებიც ქორწინების ინსტიტუტმა განიცადა დროთა განმავლობაში.

წინამდებარე ნაშრომში დეტალურად განვიხილავთ რა ხარვეზები არსებობს ამ თემასთან მიმართებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა და კანონმდებლობაში, შევეცდები ობიექტური ანალიზით, სამეცნიერო ლიტერატურის განხილვითა და

სხვა ქვეყნების კანონმდებლობასთან პარალელების გავლებით ჩამოვაყალიბო ზემოხსენებული ხარვეზების აღმოხვრის გზები.

Annotation

Tatia Mosia

Main task of the Master thesis is: Regulation of Legislations of Marital Ages

The work includes: content, introduction, fine main topics (definition of the family, historical backround, deadline of martrital registration and marriage age right in different countries, changes in legislation and some faults in law, stati), conclusion and referencies. In the introduction part there is discussed the actuality of the problem, main objectives and the aim of the research, there is the topic related to the main problems and given the main ways of the problem solving.

In the research work it is discussed the main task of homey law like: marriage and some undifinite norms related to the marriage and there is given some ways of such problem solving. The most important part is the problem of marriage age, existing fault in Georgian homey law and in communication with related subjects. In the research work there is discussed related scientific literature with the adequate methods of research.

In the work there is discussed historical backround from Georgian past, clearly given main changes following the marrage institutions time to time.

There is the detail discussion what kind of fault we have in Georgian civil code and legislation and I will try to find some ways of problem solution on the base of objective analyses, we will rely on some scientific literature and we will examine the problem in parallel of other countries experience.

სარჩევი

შესავალი..... 8

თავი პირველი

ოჯახის ცნება ძველ ქართულ და თანამედროვე სამართალში..... 10

1.1 ოჯახის განმარტება ძველ ქართულ და თანამედროვე სამართალში..... 10

1.2 ქორწინების ცნება..... 13

თავი მეორე

ისტორიული მიმოხილვა..... 17

2.1 ქორწინება ძველ ქართულ და რომაულ სამართალში 17

2.2. ნიშნობის ინსტიტუტი..... 22

2.3 ქალის მოტაცებით ქორწინება 27

თავი მესამე

ქორწინების რეგისტრაციის ვადები და საქორწინო ასაკის ცენზები სხვადასხვა ქვეყნებში..... 30

თავი მეოთხე

საკანონმდებლო ცვლილება და ხარვეზი კანონმდებლობაში..... 34

3.1.ხარვეზი კანონმდებლობაში და ნაადრევი ქორწინება ეთნიკურ უმცირესობებში..... 34

3.2. სისხლის სამართლის რეგულაცია ნაადრევ ქორწინებასთან

დაკავშირებით..... 45

თავი მეხუთე

სტატისტიკა..... 51

4.1. ნაადრევი ქორწინების სტატისტიკა..... 51

4.2. სახალხო დამცველის ანგარიში..... 55

4.3. ადრეულ ასაკში ქორწინების პრაქტიკა საქართველოს რეგიონებში..... 57

4.4. უცხოეთის პრაქტიკა..... 61

დასკვნა..... 64

გამოყენებული ლიტერატურა..... 69

შესავალი

სამოქალაქო კანონმდებლობაში, კერძოდ, საოჯახო სამართალში, ბოლო პერიოდში შეტანილმა ცვლილებებმა გამიღრმავა ინტერესი საქორწინო ასაკის რეგულირების აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. სწორედ ამას ეხება ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი და ამ ცვლილებებთან დაკავშირებით შევეცდებით ჩვენი მოსაზრების დაცვას შესაბასისი არგუმენტაციით. აღნიშნულ ნაშრომში ვრცლად ვისაუბრებთ საქორწინო ასაკთან დაკავშირებული პრობლემის არსზე, აღნიშნულთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზზე, მისი აღმოფხვრის შესაძლო გზებზე და მიმოვიხილავთ შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებულ სპეციალურ ლიტერატურას კვლევის ადეკვატურ მეთოდებთან ერთად. ნაშრომში გამოყენებული იქნება რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რომლის მიხედვითაც არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით ვაპირებთ მივიდეთ გარკვეულ დასკვნებამდე. ასევე კვლევის გარშემო გამოყენებულ იქნა შედარებითი მეთოდი. სტატისტკურ მასალებზე დაყრდნობით, შევადარებთ ერთმანეთს საქართველოში არსებულ რეალობას გავლილ წლებთან და გავავლებთ პარალელებს საერთაშორისო მდგომარეობასთან. არსებული რეალობის სტატისტიკა ძირითადად მოპოვებული იქნება ინტერნეტწყაროებიდან, გამოქვეყნებული რესურსებიდან და (face to face) პირისპირ ჩვენ მიერ წარმოებული ინტერვიუებიდან. ასევე, გავაანალიზებთ ჩვენ მიერ შედგენილი კითხვარების საფუძველზე ჩატარებუილი კვლევის შედეგებს. სტატისტიკურ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება ფაქტებს შორის. ნაშრომში დასმულ საკითხებს მეთოდოლოგიურ საფუძვლად უდევს კვლევის ისტორიულ-შედარებითი და სამართლებრივი ანალიზის მეთოდი. რაც საშუალებას მოგვცემს შედარება გავაკეთოთ საქართველოსა და მსოფლიოს ხალხების საოჯახო ტრადიციების წარმოშობისა და განვითარების სამართლებრივ ასპექტებზე. იმის გასარკვევად თუ რამ განაპირობა სტატისტიკური მონაცემების ცვლილება ეპოქასთან ერთად.

წარმოგიდგენთ მოკლე ისტორიულ მიმოხილვას საკითხის გარშემო. საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსი 1970 წლიდან დამოუკიდებლად არსებობს, რომელიც არეგულირებდა ოჯახთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ეს ურთიერთობები შეიძლება ყოფილიყო როგორც პირადი ხასიათის, ისე ქონებრივი ხასიათისაც. ამ ურთიერთობებს ჰქონდათ საოჯახო შინაარსობრივი დატვირთვა. საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსის გაუქმება განაპირობა ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებამ. ახალი დროის შესაბამისი საოჯახო სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა მოთავსდა საქართველოს 1977 წლის სამოქალაქო კოდექსის მეოთხე წიგნში, რომელიც წარმოადგენდა ქართული კოდექსის ერთ-ერთ დასკვნით ნაწილს. სამოქალაქო კოდექსის პირველივე მუხლში აღნიშნულია, რომ საოჯახო ურთიერთობები სამოქალაქო ურთიერთობათა ნაირსახეობას წარმოადგენს.

თავი პირველი

ოჯახის ცნება და ქორწინების ინსტიტუტი

1.1 ოჯახის განმარტება ძველ ქართულ და თანამედროვე სამართალში

ტერმინი „ოჯახი“ თურქული წარმოშობის სიტყვაა და ქართულად ნიშნავს კერას, სახლს, სასახლეს. ძველ ქართულში „ოჯახის“ სინონიმად გამოიყენებოდა „სახლი“, რომელიც შედგებოდა ქმრისა და ცოლ-შვილისაგან და იგი ერთობის აღმნიშვნელი სიტყვა იყო. სახლის ცნებას შუა საუკუნეებიდან ჩაენაცვლა ოჯახი, რომელიც ასოცირდებოდა ცოლქმრობაზე, ნათესაობასა და ქონების მფობელობაზე დამყარებულ ურთიერთობასთან.[1] ივანე ჯავახიშვილმა დაასაბუთა, რომ V საუკუნის საქართველოში უკვე „სახლი“ არამარტო საგვარეულოსა და გვარს ნიშნავდა, არამედ ერთცოლიანობაზე დამყარებულ ოჯახსაც შემდგომში რომ ამგვარი მნიშვნელობა კიდევ უფრო და უფრო უნდა განმტკიცებულიყო.[2]

არსებობს ოჯახის ზოგად-სოციოლოგიური და სპეციალურ-სამართლებრივი ცნება. სოციოლოგიური გაგებით, ოჯახი არის პირთა ქორწინებაზე, ნათესაობასა და ბავშვის აღზრდაზე დაფუძვნებული კავშირი.[3] თანამედროვე ოჯახი არის იმის რწმენა, რომ ადამიანის შრომით მიღებული შემოსავალი უმიზნოდ კი არ გაიხარჯება, არამედ მოხმარდება ოჯახის წევრების მატერიალური და კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილებას. თუმცა, ადამიანები ოჯახის შექმნისას ეკონომიკური ამოცანების მიღწევას კი არ ისახავენ მიზნად, არამედ ოჯახის შექმნის მიზანი ემსახურება ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემის ნიადაგზე მიდგომის გაგრძელებას.

---

[1] ივ, ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, მთავარი რედაქტორი რ.მეტრეველი,. თბილისი 2002. გვ 516, 597

[2] ივ, ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე,. თბილისი., 1928, გვ 24

[3] რ.შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი,. თბილისი.,2015, მერიდიანი, გვ 11,12.

ოჯახის შექმნის უძველეს და ყველაზე გავრცელებულ საფუძველს ქორწინება წარმოადგენს. ქორწინება ძირითად შემთხვევებში არის ოჯახის შესაქმნელად მიმართული ქალისა და მამაკაცის ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე დამყარებული კავშირი. სიყვარული კი არის კავშირის ის ფორმა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია მყარი და სრულყოფილი ოჯახის შექმნა.

ოჯახის შესახებ ასეთ განმარტებას აკეთებს თავის კვლევაში ლუის მორგანი - „არც ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაცას არ ჰქონია, ისეთი მდიდარი და შინაარსიანი ისტორია, არც ერთ მათგანს არ განუხორციელებია უფრო ხანგრძლივი და მრავალმხრივი ცვლის შედეგები, როგორც ოჯახს, რომელმაც თანამედროვე სახის მიღებამდე განვითარების დიდი გზა განვლო. ოჯახი აქტიური ელემენტია, რის გამოც არასდროსაა ის ერთ ადგილზე გაქვავებული, არამედ დაბალი ფორმიდან გადადის უმაღლესში, იმ ზომით, რა ზომითაც საზოგადოება დაბალი საფეხურიდან ვითარება უმაღლესი საფეხურისკენ“.[4]

იურიდიულ ლიტერატურაში ყველა ავტორი ცდილობს მოგვცეს ოჯახის ცნების ზუსტი დეფინიცია. პ. სედუგინი ოჯახის ცნებას განმარტავს, როგორც პირთა განსაზღრულ ჯგუფს, რომელიც ეფუძვნება ქორწინებას, ნათესაობას, მოყვრობას, ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის გაძღოლას, ურთიერთმხარდაჭერას და მომავალი თაობის აღზრდას.[5]

ოჯახის პირველი საფეხური სისხლით მონათესავე ოჯახი იყო. ოჯახის ამ ისტორიულ ფორმაში ცოლქმრული ურთიერთობა გამორიცხავდა მხოლოდ წინაპრებსა და შთამომავლებს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის სქესობრივ ურთიერთობას, ასევე განმტკიცებული იყო ძმებსა და დებს შორის სქესობრივი ურთიერთობის აღკვეთა.[6] პირველყოფილი მეურნეობის წარმოშობამ და მოსახლეობის ზრდამ განაპირობა ადამიანთა ერთმანეთთან დაკავშირება. ამ დროს

---

[4] Л. МОРГАН, . ДРЕВНЕЕ ОБШЕСТВО. М. , 1936. С 2002

[5] П. Седугина, комментарии к семеиному кодексу РФ под обин ред Крашениковаб. М., 1997.,С 2

[6] შ. ჩიკვაიშვილი, საოჯახო სამართალი. თბილისი.,2004, გვ 38.

არსებობდა ჯგუფური ცოლქმრობა, რომლის დროსაც ჩნდება წყვილადი ოჯახი, რომელიც უკვე ერთი მამაკაცისა და ერთი ქალის შეუღლებას გულისხმობს. ოჯახის განვითარების ამ საფეხურზე ადამიანთა შრომითი და ყოფითი ერთობის პირველ ფორმას - მატრიარქატი წარმოადგენდა. ეს იყო ქალის ერთგვარი უპირატესობის ეპოქა, რაც გულისხმობდა იმას, რომ მას წამყვანი ადგილი ეკავა მეურნეობაში. (ქალი გახდა პირველი მესაქონლე, მიწათმოქმედი, მშენებელი და კერის შემნახველი). თუმცა საწარმოო ძალების განვითარებამ შეცვალა ქალის უფლებრივი მდგომარეობა ოჯახში. მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების განვითარებამ ამჯერად წამყვანი როლი მამაკაცს მიაკუთვნა.[7] ფეოდალურ საზოგადოებაში ქორწინება წარმოადგენდა გარიგებას ფეოდალთა შორის მათი შვილების შეუღების თაობაზე, სადაც გვარი და არა პირადი სურვილები წყვეტდა დაქორწინების საკითხს. ფეოდალიზმის დროს მკაცრად იყო აკრძალული მეუღლეთა შორის განქორწინება, ვინაიდან, ქორწინება მოიაზრებოდა საქორწინო ურთიერთობის მარადიულ ფორმად და კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა დაუშვებელი იყო განქორწინება. აღნიშნულის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 66-ე მუხლი: „ცოლი და ქმარი რაგინდ სძულობდნენ ერთმანეთს, უბრალოდ გაყრა არ იქნების, კათოლიკოზმა წვრთნით უნდა შეარიგოს“.[8]

[7] შ. ჩიკვაიშვილი. საოჯახო სამართალი,. თბილისი.,2004,გვ 40

[8] ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის მიერ დამზადებული ტექსტით, გამოკვლევათა და ტერმინთა საძიებელი, თბილისი., 1955

1.2 ქორწინების ცნება

ქორწინებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს ურთიერთბებს სამართლბრივი ნორმები არეგულირებენ. ისინი განსაზღვრავენ ქორწინების წესსა და პირობებს. საქართველოს სკ-ის 1106-ე მუხლის მიხედვით, „ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ერთეულში“.[9] კოდექსის მიერ მოცემულ განმარტებაში ქორწინება მიჩნეულია ქალისა და მამაკაცის კავშირად. როცა კანონმდებელი ქალისა და მამაკაცის კავშირზე ამახვილებს ყურადღებას, ქორწინების ცნებაში მოიაზრება ორი მნიშვნელობა: პირველი მნიშვნელობით ქორწინება არის იურიდიული ფაქტი, რასაც შედეგად მოჰყვება ქალსა და მამაკაცს შორის მეუღლეობრივი ურთიერთობის წარმოშობა, ხოლო მეორე მნიშვნელობით კი ქორწინება განსაზღვრავს ცოლისა და ქმრის განსაკუთრებულ სამართლებრივ სტატუსს. ქორწინების ცნების პირველი ნაწილის მიხედვით, ქორწინება წარმოადგენს გარიგებას, ვინაიდან, თვალსაჩინოა ორივე მექორწინის ნება. ამიტომ შეთანხმება ქორწინების შესახებ სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების ნაირსახეობაა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ოჯახის შექმნა შეუძლებელია ქორწინების გარეშე, ოჯახის შექმნა შესაძლებელია ქორწინების გარეშეც. ეს უმეტესად დაუქორწინებელი ქალის მიერ ბავშვის გაჩენის ან მარტოხელა პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანის შედეგად ხდება. ვინაიდან, ოჯახის შექმნის საფუძველი უმეტესად ქორწინებაა, სწორედ ამიტომ ცოლ-ქმარი საწყის ეტაპზე წარმოადგენენ ოჯახის წევრებს. ამ ურთიერთობას ლოგიკურად მოყვება ბავშვის გაჩენა. სწორედ ეს ურთიერთობები ქმნიან საოჯახო ურთიერთობათა ძირითად ბირთვს.

საოჯახო სამართლით რეგულირებული პირადი და ქონებრივი ურთიერთობები განსხვავდება სამოქალაქო სამართლის სხვა ცალკეული

[9] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1106.

ინსტიტუტებით რეგულირებული მსგავსი ურთიერთობებისგან. საოჯახო ურთიერთობები უმეტესად ისეთი უფლებების წარმოშობას ედება საფუძვლად, რომლებიც ოჯახის ერთი წევრის პირად დამოკიდებულებას განსაზღვრავს მეორის მიმართ. საოჯახო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია ის, რომ მათი წარმოშობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დამოკიდებული მონაწილე პირების ნებაზე, უმეტეს შემთხვევაში ისინი მათი ნების საწინააღმდეგოდ წარმოიშობიან. შეუძლებელია საოჯახო უფლებებსა და მოვალეობებზე უარის თქმა. ქორწინებაში მყოფ პირებს ერთმანეთის მიმართ წარმოეშობათ არა ჩვეულებრივი, ტრადიციული, არამედ მეუღლეობასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი. ეს უფლებები შეიძლება იყოს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ხასიათის. ქორწინება არის ისეთი სამოქალქო-სამართლებრივი გარიგება, რომელიც მეუღლეებისათვის წარმოშობს პირად და ქონებრივი ხასიათის უფლება-მოვალეობებს. მეუღლეთა შორის პირადი ურთიერთობები განსაზღრულია. პირადი ურთიერთობებია არამარტო ქორწინების ნამდვილი შინაარსის ძირითადი საფუძველი, არამედ მთელი შემდგომი საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობა. ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან მეუღლეთა პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობების თანაბრობა კანონით განსაზღრული აუცილებლობაა. ყოველგვარი დისკრიმინაცია საოჯახო ურთიერთობებში კატეგორიულად არის აკრძალული. ქალი და მამაკაცი არა მარტო ქორწინების დროს, არამედ მეუღლეობრივი უფლებამოვალეობათა განხორციელების დროს სარგებლობენ თანაბარი უფლებებით.

მეუღლეობრივი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოსაშობად მარტო ქალისა და მამაკაცის სურვილი დაქორწინების შესახებ არაა საკმარისი. საჭიროა აგრეთვე, რომ ქორწინების რეგისტრაცია მოხდეს რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოში. აღნიშნული მოთხოვნა ხაზს უსვამს იმას, რომ ქორწინება შეიძლება წარმოშვას მხოლოდ სპეციალური სახელმწიფო ორგანოს მიერ განხორციელებულმა რეგისტრაციამ და არა პირთა ფაქტობრივმა თანაცხოვრებამ. ქორწინების

რეგისტრაცია დაწესებულია, როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად, ისე მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით. ქორწინების რეგისტრაცია საშუალებას აძლევს სახელმწიფოს თავის საქმიანობაში გაითვალისწინოს სხვადასხვა დემოგრაფიული მონაცემები (მაგ: შობადობის მდგომარეობა, მოსახლეობის შემადგენლობა და სხვა). ქორწინების რეგისტრაცია ამარტივებს მეუღლეთა შორის ურთიერთობას და შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს დაიცვას მეუღლეებისა და მათი შვილების ინტერესები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქორწინება მხოლოდ მაშინ წარმოშობს მეუღეთა შორის უფლება-მოვალეობებს, როცა ხდება ამ ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაცია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. რეგისტრაცია წარმოადგენს ერთადერთ დამადასტურებელ საბუთს მეუღლეებისათვის და მას კონსტიტუციური ანუ უფლებაწარმოქმნილი მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოში ნებადართულია საეკლესიო ქორწინება, თუმცა მას სამოქალაქო ქორწინების მსგავსი სამართლებრივი შედეგები არ მოჰყვება, ამიტომ საქართველოს ტერიტორიაზე, სხვა რომელიმე ორგანოში, თუნდაც ეკლესიაში რეგისტრირებულ ქორწინებას იურიდიული ძალა არ გააჩნია.[10] ქორწინების რეგისტრაციის შესახებ განცხადება მექორწინეებს შეუძლიათ შეიტანონ ნებისმიერი ქალაქის ან რაიონის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივ სამსახურში. ჩვეულებრივ, მექორწინეები თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ტარდებიან რეგისტრაციაში. ყველა შემთხვევაში, ქორწინების რეგისტრაცია უნდა მოხდეს დასაქორწინებელ პირთა უშუალო მონაწილეობით. ჩვენი კანონმდებლობით არ არის დაშვებული წარმომადგენლის მეშვეობით ქორწინება, ანუ ეს ის შემთხვევაა, როცა რეგისტრაციის დროს ადგილზე არ არის საცოლე და საქმრო და მათ ცვლიან სხვა პირები _ მექორწინეთა წარმომადგენლები. ძველად საქართველოში წარმომადგენლობითი ქორწინება არც ისე პოპულარულად ითვლებოდა, იგი

[10] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია. საოჯახო სამართალი,. თბილისი., 2009,გვ 70.

პატივისა და ღირსების შემლახავად იყო მიჩნეული, განსაკუთრებით ქალებისთვის. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქორწინების შესახებ განცხადება მექორწინეებმა სარეგისტრაციო ორგანოში პირადად უნდა შეიტანონ. არ შეიძლება დასაქორწინებელი პირის ნაცვლად განცხადება დაქორწინების სურილის შესახებ სხვა პირმა შეიტანოს. თუმცა ერთ-ერთ მეუღლეს შეუძლია განცხადების შეტანა, თუ მას აქვს მეორე მეუღლის ნების გამომხატველი დოკუმენტი.

იმისათვის, რომ ქორწინების რეგისტრაციას ჰქონდეს საჯარო ხასიათი, კანონი ითხოვს ქორწინების რეგისტრაციას ორი სრულწლოვანი მოწმის მონაწილეობით. მოწმეები სარეგისტრაციო წიგნში ტარდებიან, როგორც ჯვრისწერის მოწმენი. არ შეიძლება ქორწინების რეგისტრაციაში მონაწილეობა მიიღონ არასრულწლოვანმა მოწმეებმა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის პატივისცემასა და სიყვარულზე დამყარებული ნებაყოფლობითი, სამისდღემშიო და სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებული კავშირი, რომელიც მეუღლეთა შორის წარმოშობს პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობებს და რომლის მიზანია ოჯახის შექმნა.

თავი მეორე

ისტორიული მიმოხილვა

2.1 ქორწინება ძველ ქართულ და რომაული სამართლის მიხედვით

საოჯახო სამართლის ინსტიტუტი ისეთივე ძველია, როგორიც კაცობრიობის ისტორია. ოჯახის ფორმებმა ისტორიულად ცვლილებები განიცადა. სახელმწიფო და საზოგადოება ყოველთვის ცდილობდნენ მის სრულყოფასა და დროსთან მორგებას. ოჯახი წარმოადგენს კაცობრიობის მოდგმის განგრძობის, მოსახლეობის ზრდის მთავარ საზოგადოებრივ ფორმას, მაგრამ მხოლოდ ამით არ ამოიწურება მისი მნიშვნელობა. ოჯახი ის პირველადი საზოგადოებრივი უჯრედია, სადაც ხორციელდება უმნიშვნელოვანესი სოციალური აქცია - ადამიანის აღზრდა, პიროვნების ფორმირება. ის თავის თავში აერთიანებს საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, ზნეობრივ, იდეოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, აგრეთვე ბიოლოგიურ ურთიერთობებს.[11] ჩვენ შევეცდებით გაგაცნოთ ქართველი ხალხის უძველესი საოჯახო ტრადიციები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარები სამართლებრივი კუთხით. ასევე პარალელი გავავლოთ მსოფლიოს სხვა ხალხთა ქორწინების უძველეს ინსტიტუტებთან. ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით „ამ საყურადღებო საკითხის შესასწავლად უძველეს ძეგლებში ჯერ მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება; ნაწყვეტ-ნაწყვეტი და სხვადასხვა წყაროებში გაფანტული სხვადასხვა დროისა და ამიტომ ცოლქმრობისა და ქორწინების განვითარებისა და ისტორიის სხვადასხვა საფეხურებს ეხება. ამის გამო მთლიანი სურათის აღდგენა ამ მასალების მიხედვით შეუძლებელია.“[12]

ოჯახთან დაკავშირებული ურთიერთობები ძველად რეგულირდებოდა ჩვეულებებით. მოგვიანებით კი მათი ადგილი სამართლებრივმა ნორმებმა დაიკავა,

---

[11] გ. ნადარეიშვილი. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, „ბონა კაუზა“, თბილისი.,2005, გვ150

[12] ივ, ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე,. თბილისი., 1928, გვ 24

რომელთა ერთობლიობაც წარმოადენს საოჯახო სამართალს. ტრადიციული განმარტებით საოჯახო სამართალი არეგულირებს ოჯახის წევრთა შორის წარმოშობილ პირად და ქონებრივ ურთიერთობებს. რაც შეეხება ოჯახს, ის წარმოადგენს იმ პირთა ერთობლიობას, რომელთა შორის ურთიერთობა რეგულირდება საოჯახო სამართლით[13].

ქორწინების ინსტიტუტის შესწავლა ძველ ქართულ საოჯახო სამართალში მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხია, რადგან იგი განსაზღვრავს კაცობრიობის ზრდისა და განვითარების პერიოდში, ოჯახის წევრთა ქონებრივ და უფლებრივ მდგომარეობას. რაც საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ანალიზი საოჯახო ტრადიციების წარმოშობისა და მათი განვითარების შესახებ. ძველ ქართულ სამართალში, ქორწინების, როგორც ღვთაებრივი დანაწესის მიზანი სამმაგი იყო: კაცობრიობის მოდგმის შენარჩუნება და გამრავლება, ქორწინების მიზნად ითვლებოდა მეუღლეების მეგობრობა, ურთიერთდახმარება და შემწეობა, ხოლო ქორწინების მესამე მიზნად ითვლებოდა ხორციელი ცოდვისაგან მიდრეკილების ალაგმვა, ხორციელი ტკბობისაკენ სწრაფვის შენელება.

საქართველოში ადრექრისტიანულ ხანაში იყვნენ ცოლოსანი ეპისკოპოსები და სანამ ცოლოსანი ეპისკოპოსები იყვენენ ეს თანამდებობა მამიდან შვილზე მემკვიდერეობით გადადიოდა. მსოფლო საეკელესიო კრებამ, რომელიც ნიკეაში ჩატარდა დაადგინა, რომ დაუქორწინებელი პირი სასულიერო წოდებაში შესვლის შემდეგ ვერ დაქორწინდებოდა, ხოლო თუ დაქორწინებულმა მიიღო ხელდასმა, იგი ცოლს არ ეყრებოდა. შემდეგ დაადგინეს, რომ ხელდასმის წინ ეპისკოპოსი ვალდებული იყო ცოლს გაყროდა.[14]

ქრისტიანულ ხანაში ორივე დასაქორწინებელი მხარე ქრისტიანი უნდა ყოფილიყო, არაქრისტიანთან ქორწინება არ დაიშვებოდა, ვინაიდან, ქრისტეს

---

[13] М. В. Антокольская ,Гражданское учебник под семейное право , М., 1996; С. 7

[14] გ. ნადარეიშვილი. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, ბონა კაუზა, თბილისი,2005.

რწმენის გარეშე არ შეიძლებოდა ადამიანზე ღვთის კურთხევის გარდმოვლინება, რომელიც ხდებოდა საიდუმლოს მეშვეობით. ქორწინება ითვლებოდა რელიგიურ საიდუმლოებად. მიუხედავად ამ წესისა, დაიშვებოდა ასევე არამართმადიდებელ ქრისტიანთან მართმადიდებლის ქორწინებაც, მაგრამ ასეთი ქორწინების შემდეგ ბავშვი მართმადიდებლურ სარწმუნოებაზე უნდა აღზრდილიყო. აუცილებელი იყო მექორწინეთა შორის სჯულის კანონით დადგენილი ხორციელი და სულიერი ნათესაობის გამომრიცხველი ხარისხები დაცული ყოფილიყო. ქორწინების დროს დაქორწინებულთა ნებას უნდა გაწეოდა ანგარიში. ეკლესიის გარეშე იკრძალებოდა გვირვინის კურთხევა. ქალის საქორწინო ასაკად, ისევე როგორც, ძველ რომში განსაზღრული იყო 12 წელი, რაც შეეხება ვაჟებს, მათი საქორწინო ასაკი განისაზღვრა 15-16 წლით. აიკრძალა „კიდის-კიდე და არაერთგან კურთხევა გვირგვინთა“, რაც გულისხმობდა იმას, რომ არ შეიძლებოდა, რომ საქმრო და საცოლე ერთმანეთის დაშორებულად დაქორწინებულიყვნენ. ქორწინებას წინ უძღვოდა დანიშვნა, რომელიც მნივნელოვან იურიდიულ აქტად ითვლებოდა. საბუთებით დასტურდება, რომ საქართველოში დანიშნული ქალის დაგდება ისჯებოდა სრული სისხლის გადახდით. [15]

გვიან შუა საუკუნეების ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ქორწინება ერთსა და იმავე დროს რელიგიური საიდუმლოებაც იყო და სამოქალაქო აქტიც. ადრეფეოდალურ ხანაში საქართველოში ქალები დაჩაგრულ მდგომარეობაში იყვენენ, ამ დროს არ იყო განვითარებული მზითვის ინსტიტუტი. ქალთა უუფლებობა ქონებრივ ურთიერთობათა სფეროში განაპირობებდა მათ უუფლებობას პირადი ურთიერთობების საკითხებშიც. IV-VII საუკუნეებში ადრეფეოდალურ საქართველოში, ნათლად იკვეთებოდა, რომ სპარსეთისა და სომხეთის ანალოგიურად ქალი მეტად დაჩაგრული იყო, რადგან ქალის უფლებრივი მდგომარეობა არ იყო სახარბიელო. ამის დასტურია V საუკუნის ქართველი

[15] გ. ნადარეიშვილი. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, ბონა კაუზა, თბილისი.,2005, გვ153-154.

მწერლის იაკობ ხუცესის თხზულება „შუშანიკის წამება“, ისტორიკოსის ჯუანშერის თხზულება „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ და სხვა. სადანაც ნათლად ჩანს, რომ ქალი მამაკაცის პატრიარქალური საოჯახო ხელისუფლების მძიმე უღელს ატარებდა.[16] სავარაუდოა, რომ მეცხრე-მეათე საუკუნეებში საქართველოში მზითვის ინსტიტუტი უკვე ჩამოყალიბებული სახით არსებობდა. სწორედ ამ პერიოდიდან უკვე ქალი ნივთი აღარ არის, არამედ იგი პიროვნებაა, მზითვი არის ქალის პროვნება გამოხატული გარე სამყაროში.[17]

რომაელი იურისტები ქორწინებას განმარტავდნენ, როგორც ქალისა და მამაკაცის თავისუფალ და თანასწორ კავშირს, სინამდვილეში კი რომში ქალი მამაკაცის თანასწორი არასდროს არ ყოფილა. რომის სამართალი იცნობდა ორი სახის ქორწინებას: 1. კანონიერი რომაული ქორწინება, როცა ორივე მხარე რომაელი იყო; 2. რომაელ მოქალაქეთა ქორწინება პერეგრინებზე. რომელთა უფლებები განისაზღვრებოდა რომის სამოქალაქო სამართლით. რომის სამართალი ასევე იცნობდა ფაქტობრივ ქორწინებას, რომელიც იყო არაიურიდიული ქორწინება და კონკუბინატი ეწოდებოდა.[18]

ძველ რომში ქორწინებისათვის აუცილებელი იყო: 1. საქმროსა და საცოლის თანხმობა; 2. საქორწინო ასაკი ქალებისათვის, რომელიც შეადგენდა 12 წელს, ვაჟებისათვის კი 14 წელს; 3. მექორწინენი არ უნდა ყოფილიყვნენ სხვასთან ქორწინებაში; 4. მექორწინეებს არ უნდა ჰქონოდათ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები; 5. მექორწინეთა შორის არ უნდა ყოფილიყო ნათესაური კავშირი

[16] გ.ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, გამომც. სამთავისი, თბილისი, 1996წ, გვ33
[17] ივანიშჩევი. თხზულებანი, კიევი, 1876, გვ 110
[18] ი. პერეტერსკი. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია,. 1947, გვ 144-145.

აღმავალი და დაღმავალი ხაზით; 6. დაქორწინებისას სრულდებდა გარკვეული რიტუალი, რომელსაც უძველესი ფესვები ჰქონდა. [19]

ქორწინების შედეგად ქალი და მისი ბავშვები შედიოდნენ ქმრის ძალაუფლებაში. ქმრის ძალაუფლება ცოლის მიმართ იმდენად განუსაზღვრელი იყო, რომ ქმარს ცოლის ფიზიკური განადგურებაც კი შეეძლო. მას შემდეგ რაც ცოლი შევიდოდა ქმრის ოჯახში იგი კარგავდა კავშირს მამის ოჯახთან. იგი ახლა უკვე თავისუფლდებოდა მამის ძალაუფლებისაგან და ექვემდებარებოდა ქმრის ძალაუფლებას. ცოლის ქონება გადადიოდა ქმრის მფლობელობაში და შესაბამისად მას აღარ შეეძლო გარიგებების დადება. თუმცა დროთა განმავლობაში ქმრის ეს გაბატონებული მდგომარეობა ცოლზე თანდათან დაიხვეწა და შეიცვალა.[20] ქალს გათხოვებამდე საქმრო მიართმევდა სხვადასხვა საჩუქარს, რომელიც შეიძლება ყოფლიყო ნივთები ან სხვა სახის ფასეულობანი. ქალს კი ოჯახიდან ატანდნენ მზითევს, რომელიც ასევე ქმრის საკუთრებას წარმოადგენდა. თუმცა, ჩვ. წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში რომში ჩამოყალიბდა წესი, რომლის მიხედვითაც ქალი უკან იბრუნებდა მზითვს ქმრის სიკვდილის, ქორწინების შეწყვეტის თუ სხვა შემთხვევებში.

რომის სამართალი აწესრიგებდა ასევე საქმროს მიერ მირთმეული საქორწინო საჩუქრების იურიდიულ რეჟიმსაც. კერძოდ, საქორწინო საჩუქარი ქმრის საკუთრებაში ითვლებოდა, მაგრამ, თუ განქორწინება ხდებოდა მისი ინიციატივით, საჩუქარი ცოლს რჩებოდა.[21] ძველ რომში ქორწინების შეწყვეტა ხდებოდა ძირითადად ოთხ შემთხვევაში: 1. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებისას; 2. ერთ-ერთი მეუღლის დაპატიმრებისას; 3. ერთ-ერთი მეუღლის მოქალაქეობის ჩამორთმევისას; 4. განქორწინებით;

---

[19] ი.პერეტერსკი. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია,. 1947,გვ 144,145.
[20] ვ.მეტრეველი. რომის სამართალი (საფუძვლები), გამოც. მერიდიანი, თბილისი,2013.
[21] იქვე გვ 103.

როგორც ისტორიულმა მიმოხილვამ აჩვენა, აღნიშნული საკითხის გარშემო სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებულ ხალხებს საკონონმდებლო თუ რელიგიური ასპექტები ჰქონდათ განსხვავებული. ცოლქმრულ ურთიერთობას აწესრიგებდა კანონი, რელიგია, ტრადიცია, მაგრამ თვალშისაცემი ფაქტია, რომ არავის აინტერესებდა ქალის, კაცისა თუ ოჯახის სხვა წევრების უფლებები თანაცხოვრების თუ განშორების პირობებში. ძველ ქართულ ქორწინების ინსტიტუტთან ერთად ჩვენ აქ პარალელი გავავლეთ რომთან თუ როგორ აწესრიგებდა ქორწინებას ძველი რომაული სამართლი და აღნიშნულიდან ნათლად გამოიკვეთა ის რომ საქართველოში მაინც უპურატესობა ენიჭებოდა რელიგიურ ფაქტორს, ვინაიდან ხაზგასმითაა ნათქვამი რელიგიის გავლენა ქორწინების ინსტიტუტთან მიმართებაში განსხვავებით რომისგან, რომელიც უპირატესობას არ ანიჭებს რელიგიურ ფაქტორს.

2.2 ნიშნობის ინსტიტუტი

ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში ნიშნობამდელი მოქმედებები არ გვხვდება, თუმცა საქართველოს ისტორიიდან ცნობილია დაქორწინება ადრეული ასაკიდან. საქართველოში ისევე როგორც ფეოდალურ ბიზანტიასა და სომხეთში არასრულწლოვანი პირების დანიშვნა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, აქედან გამომდინარე მექორწინეთა ნებასურვილს მშობლები დიდ ანგარიშს არ უწევდნენ. როგორც ბიზანტიაში ისე საქართველოში ხშირი იყო 9-12 წლის ყმაწვილების ნიშნობა. ბიზანტიური სამართალი ცნობდა ქალის ნიშნობას 7-წლის ასაკში, ხოლო 12 წლის ასაკის ქალიშვილის დაოჯახებას კანონიერად აღიარებდა. თუმცა, ქორწინების ეს მცირე ასაკიც მაინც ირღვეოდა, რადგან იყო შემთხვევები როცა 5 ან 6 წლის გოგოს უკვე საცოლედ ნიშნავდნენ. ნიშნობისას იწერებოდა საქორწინო ხელშეკრულება, სადაც აუცილებლად აღნიშნავდნენ მზითვის რაოდენობას. ეს ხდებოდა არა მართო ქმრის ინტერესების დასაცავად არამეტ ქალის ინტერესების დასაცავადაც, რადგან ქმრის დანაშაულებრივი მოქმედებების შემთხვევაში

სახელმწიფო ორგანო მისი ცოლის ქონებას ხელს ვერ ახლებდა.[22] მცირეწლოვანთა დანიშვნა-დაქორწინებას ადრეული ქართულ წერილობითი ძეგლებიც ადასტურებს ,,ძეგლის წერაში“ არსებული ცნობების მიხედვით, ივ. ჯავახიშვილი საქართველოში მცირეწლოვანთა დანიშვნის შესახებ შენიშნავს, რომ ამ წესის არსებობა უძველეს ხანას ეკუთვნის, რასაც XII საუკუნეში უკვე რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამაც დართო ნება. მაგრამ არა მარტო დაწინდვა, არამედ მცირეწლოვანთა დაქორწინებაც ჰქონიათ წინათ წესად, და ამიტომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას ამავე დროს ეს უკანასკნელი აუკრძალავს.'',,რათა ამიერითგან არღარა ეკურთხეოდინ გვირგვინი ჩვილთა ქალ-ყმათა, არამედ უკეთუ საჭიროდ რადმე იყოს, მშობელთა მათ დიად დაუწინდენ იგი უერთიერთას. და რაჟამს ჰასაკად ათორმეტისა წლისასა უმცროჲსი ნომცა შეყოფილ არს ქორწინებით მეუღლისადა''(ძეგლის წერა)[23]ასეთი მოთხოვნის შემოღებამ საერო კანონმდენებლობაზეც დადებითათ იმოქმედა ,,რაც დავით აღმაშენებლის პროგრესული საკანონმდებლო პოლიტიკის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს''.[24] 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების "ძეგლისწერაში" მოცემული ნორმების საფუძველზე ირკვევა, რომ XII საუკუნემდე ფართოდ ყოფილა გავრცელებული არასრულწლოვანთა დაქორწინება. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ აკრძალა ჩვილ ბავშვთა ქორწინება, ამ ძეგლის მიხედვით, ქალ-ვაჟთა დანიშვნა შესაძლებელია ადრეულ ასაკში, მაგრამ დაქორწინება ქალისთვის მხოლოდ 12-წლიდან იყო შესაძლებლად მიჩნეული.[25] 12 წლის ქალი უკვე „ჰასაკად მოსულად" ითვლებოდა და ამიერიდან მისი გათხოვება კანონით შეიძლებოდა. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში „ჰასაკად მოსვლა" სქესობრივი სიმწიფის ხანას უდრის. ვაჟები 15 წლის ასაკიდან

[22] გ.ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, გამომც. სამთავისი, თბილისი, 1996წ, გვ19

[23] ივ. ჯავახიშვილი ქართული სამართლის ისტორი, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე გვ. 366

[24] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, გამომც. მერიდიანი, თბილისი, 2015 წ. გვ. 75

[25] იქვე გვ 59-60

ქორწინდებოდნენ. საეკლესიო სამართლის ეს მოთხოვნა საერთო კანონმდებლობაშიც დამკვიდრდა.[26]

საქართველოში ნიშნობის ინსტიტუტი შორეული წარსულიდან არსებობდა, რომელიც ქრისტიანობის წარმოშობიდან გახდა ქორწინებისათვის მთავარი წინაპირობა. რამაც არსებითად შეცვალა ქალის უუფლებო მდგომარეობა, როცა წარმართობის პერიოდი ქალს ქორწინებაზე სურვილის გამოხატვის საშუალებას არ აძლევდა. ნიშნობის დაწესებით ეს მდგომარეობა მშვიდობიანი გარიგების სახით შეიცვალა. ნიშნობა (დაწინდვა, დაბელგვა, დაბევება) ქორწინების სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენდა. ნიშნობა ანუ დაწინდვა საქორწინო-საოჯახო სამართლის უძველესი ინსტიტუტია, რომელიც მნიშვნელოვან ზეპირ ანუ ვერბალურ (,,ვერბუმ''-სიტყვა) გარიგებად ითვლებოდა. ,,ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის'' თანახმად, ნიშნობა არის ვაჟის მიერ ქალის საცოლეთ დანიშვნა, ქორწილი კი ლხინია ქორწინების აღსანიშნავად. ძველ საკანონმდებლო ძეგლებში ნიშნობის საკითხები მოცემულია ვახტანგ-VI-ის სამართლის წიგნის 223-ე მუხლში, ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 390-397-ე მუხლებში და სხვა.[27] საქართველოში ისევე როგორც სხვა ხალხებში ქალის დანიშვნის სხვადასხვა წესი იყო გავრცელებული (აკვანში დანიშვნა, მცირეწლოვანთა დანიშვნა, გარიგებით დანიშვნა და სხვა). ,,ქალის დანიშვნას ,,ნიშნის შებმა'' ეწოდებოდა. ის, ვისაც ნიშანს მიუტანდნენ ანუ ნიშანს შეაბამდნენ, ნიშანშებმული ანუ დანიშნული იყო''.[28]

უძველესი დროიდან ისტორიული წყაროებით და ეთნოგრაფიული მასალებით, საქართველოს რიგ რეგიონებში, ასევე კავკასიასა და მსოფლიოს სხვა ხალხებშიც, გვხვდება ჩვილი ქალ-ვაჟის აკვანში დანიშვნა ,,დაწინდვა''.,,რომელიც პატრიარქალური ოჯახების დაარსებასთან ერთად უნდა გაჩენილიყო, რათა მეტი სიცხადით ყოფილიყო აღნიშნული მამაკაცის საგვარეულოს უფლებები დანიშნულ

[26] შ.ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, „მერიდიანი“, თბილისი, 2000.
[27] ი. ფუტკარაძე, ქორწინების წესები ქართული სამართლის მიხედვით, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, გამომც. მერიდიანი, თბილისი, 2012 . გვ. 547
[28] რ. შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო სამართალი, გამომც. მერიდიანი, თბილისი, 2011 წ. გვ. 79-80

ქალზე.[29] დღევანდელ კანონმდებლობაშიც განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული დასაქორწინებელ პირთა წინასწარ თანხმობაზე ანუ ნიშნობაზე. (სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლი) სადაც აღსანიშნავი ფაქტია ის, რომ კანონი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ნიშნობის დროს მთავარი და გადამწყვეტი არა მშობლებისა და სხვა ნათესავების თანხმობა, არამედ დასაქორწინებელ პირთა ნინასწარი თანხმობაა. ნიშნობა დანიშნულ პირთა შორის არ წარმოშობს შემდგომი დაქორწინების ვალდებულებას, რადგან ნიშნობა არ იწვევს მომავალში აუცილებელი დაქორწინების მოვალეობას, იგი არ შეიძლება იძულებითი დაქორწინების შესახებ სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის საფუძველი გახდეს, ნიშნობა არავითარ ქონებრივ ვალდებულებას არ წარმოშობს და დაუქორწინებლობის შემთხვევაში ერთმანეთისადმი მირთმეული განსაზღვრული ღირებულების საჩუქრები მხარეებს უკან უბრუნდებათ. ეს ინსტიტუტი საქართველოსთვის არასდროს არ ყოფილა უცხო, იგი ცნობილი იყო რომაული სამართლისთვისაც. ნიშნობა იუსტინიანეს დიგესტებში განმარტებულია როგორც „მომავალი ქორწინების დათქმა და ორმხრივი დაპირება“. ნიშნობა ლათინური სახელწოდებაა „sponsalia” და ნიშნავს დაპირებას. აქედან წარმოიშვა ტერმინები საქმრო (sponsus) და საცოლე (sponsa), რაც დაპირებულს ანუ დანიშნულს ნიშნავს.[30] ქალის დანიშვნის დროს ნიშნის სახით უმეტესად ძვირფას ბეჭედსა და სხვა სამკაულებს იყენებდნენ.[31] მიზანი ნიშნობის იყო შვილების კარგი მომავალი. მშობლებმა რაკი იცოდნენ სამოყვრო ოჯახების ავ-კარგი ითვლებოდა, რომ მათი კეთილდღეობისთვის აკვანში ნიშნობა ხელსაყრელი იქნებოდა. სამეგრელოში იცოდნენ ჩვილის დაბადებამდე დედის მუცელშივე დაწინდვა. ,,ნაცნობ-მეგობარის ორი ოჯახი, რომლებსაც თავიანთი ურთიერთობის განმტკიცება დანათესავებით უნდოდათ, ხანდახან ადრეულ ასაკში, აკვანში და დაბადებამდეც კი ნიშნავდნენ

[29] რ.ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში 1939, გვ.85
[30] რ. შენგელია, ე. შენგელია. საოჯახო სამართალი, გამომც. მერიდიანი, თბილისი,2015,გვ.63
[31] ი.ფუტკარაძე, ქორწინების წესები ქართული სამართლის მიხედვით. ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შრომები, თბილისი, 1977, გვ.31

თავიანთ შვილებს. ასეთ შემთხვევაში სხვისი ჩარევა აღარ იყო საჭირო. ბავშვების წამოზრდის მთელი პერიოდის განმავლობაში ისინი ყველანაირად ყურადღებიანი იყვნენ ერთმანეთის მიმართ, დღეობა-დღესასწაულებზე კი საჩუქრებსაც მიართმევდნენ ხოლმე. ეს განსაკუთრებულად ევალებოდა სასიძოს ოჯახს. ბავშვებს მომწიფების შემდეგ კი თავიდან ნიშნავდნენ _ აწყობდნენ ჩვეულებრივ ნიშნობას. დანიშვნის ეს ხერხი უმეტესად შემორჩენილი იყო მთიან კუთხეებში[32] (მთიულეთი, ხევი, აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, სვანეთი) სლავურ და გერმანელ ხალხებში ,,ამგვარი წესი ეკონომიური მდგომარეობით გამოწვეული ჩვეულება უნდა იყოს, რადგან გულისხმობს ოჯახში რძლის სახით უკვე მოზრდილი მუშახელის შემოყვანას''.

ნიშნობის მომწესრილებელი სამართლებრივი ნორმებიდან ძველ ქართულ სამართალში აღსანიშნავია:

1) ვახტანგ მეექვსის სამართლის 77-ე და 223-ე მუხლები;

2) ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 390 და 397-ე მუხლები;

3) ქართული ჩვეულებითი სამართლის კრებულის ,,საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნი'', მე-15 და 52-ე მუხლები;

4) დ. ბატონიშვილის სამართლის 119-ე, 120-ე და 222-ე მუხლები;

[32] ბექაია მ., ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, თბილისი., 1980, გვ.31-32

2.3 ქალის მოტაცებით ქორწინება

ქორწინების უძველესი წესი გახლდათ ქალის მოტაცებით ქორწინება, ქალის მოტაცებით ქორწინება გავრცელებული იყო არამარტო რომში არამედ სხვა ხალხებშიც,[33] მათ შორის საქართველოში. ,,გათხოვება'' ნიშნავდა ,,ქალის შესვლას ქმრის ოჯახში არა სამუდამოდ, არამედ დროებით, შთამომავლობის გამრავლების მიზნით''. ქართული ნარატიული წყაროები გვიჩვენებს, რომ სიყვარულით გათხოვების ფაქტები რაოდენობრივად დიდად ჩამოუვარდება იძულებით გათხოვების ფაქტებს. სამწუხაროდ, არსებული წყაროები ძირითადად სოციალურად ზედა ფენის წარმომადგენლების შესახებ გვაწვდის მასალებს და ნაკლებადაა ინფორმაცია მწარმოებელი კლასის დაოჯახების შესახებ. ამ სიცარიელეს ნაწილობრივ ავსებს სამართლის ძელგები, რომლებიც არა მარტო ელიტარული საზოგადოების უფლება-მოვალეობებს არეგულირებდა, არამედ დაბალი სოციალური ფენებისაც. ამ მასალებიდან ირკვევა, რომ საქართველოში ქალის იძულებით გათხოვების ორი გზა არსებობდა: საქმროს მიერ მისი ყიდვის და მოტაცების.[34] მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ქალის მოტაცების გზით ქორწინება ყველზე ადრეულ და უნივერსალურ ფორმას წარმოადგენდა. მეორე ნაწილის აზრით კი მოტაცება იყო უკიდურესი ზომა და მისი ჩათვლა ქორწინების უნივერსალურ ფორმად არ შეიძლებოდა. მათი აზრით, მოტაცება იყო ერთგვარი პროტესტის გამოხატულება არსებული საქორწინო ურთიერთობის წინააღმდეგ. აქ უნდა გამოვყოთ „თავისუუფალი“ - გასათხოვარი ქალის, დანიშნული და გათხოვილი ქალის მოტაცების შემთხვევები. შესაბამისად ამის წინააღმდეგ მიმართული სადამსჯელო ღონისძიებები განსხვავებული იყო. მოტაცება ჩვეულებითი სამართლისთვის მიუღებელი იყო, მას ზოგჯერ მძიმე შედეგი (მაგ., შურისძიება მკვლელობა) მოჰყვებოდა. თუ ,,ქალს არ უყვარდა ვაჟი, არც მშობლები იყვნენ

[33] ლ.შოშიაშვილი, ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, გამომც. ,,მერიდიანი'', თბილისი, 2003 წ. გვ.89

[34] ლ. ასლამაზიშვილი, ქალის უფლებებო ქორწინების და განქორწინების შემდეგ XV საუკუნის საქართველოში (მზითვი), გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2016, გვ.7

თანახმა, მაგრამ ვაჟი ძალით გაიტაცებდა, ეს განსაკუთრებით მძიმე შემთხვევა იყო და დევნაში შეიძლებოდა დიდი შეხლა-შემოხლა და მკვლელობაც კი მომხდარიყო."[35] შუა საუკუნეების კანონმდებლობა მეტ სიმკაცრეს იჩენს ქმრიანი ქალის მოტაცების შესახებ და ეს გასაგებიცაა: „გვირგვინ-ნაკურთხი" ქალის მოტაცება აღქმულია არა როგორც მისი გათხოვება, არამეტ როგორც უკვე არსებული კანონიერი ქორწინების დარღვევა.

წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ქალის მოტაცება ორგვარი ყოფილა: ნებაყოფლობითი და ძალისმიერი. ბექა მანდატურთუხუცესი თავის სამართლის წიგნში აღწერს ორივე შემთხვევას. ძალმომრეობითი ის ყოფილა, რომელიც „დიაცის უმეცრად და უნდომლად" უნდა მოხდეს და „ძალთა ლაშქართა უხლებლად ვერ უზამს", ხოლო ნებაყოფლობითი მოტაცება გულისხმობდა დიაცის „მისით ნებითა და წადილითა" .

განსხვავდებოდა დანიშნული ანუ დაწინდული ქალის მოტაცება და გათხოვილი ქალის მოტაცება, რასაც ადათობრივი სამართალი ებრძოდა. XII საუკუნიდან ,,საცოლის მოტაცება ქართველებს უკვე ჩვეულებათ არა ჰქონიათ''. ცნობილი იყო ასევე ქალის ,,ყიდვით'' ქორწინება სადაც საქმროს ავალებდა ქორწინების წესი ქონების მიტანას. ნიშნობის შემდეგ ხდებოდა ქორწინება, რომელსაც დამაბრკოლებელი გარემოებები არ უნდა ჰქონოდა, აუცილებელი მოთხოვნა იყო: ერთსარწმუნოება, ხორციელი და სულიერი ნათესაობის არსებობა და მექორწინეთა ნება. ,,ქრისტიანულმა ეკლესიამ მოგვიანებით, და ისიც არა ყველგან მოითხოვა, რომ ქორწინების დროს დასაქორწინებელთა ნებას გასწეოდა ანგარიში. როგორც ვიცით, ეს მოთხოვნა ძველ ბერძნულ და ლიტურგიკურ

[35] დ.ჯალაბაძე, საქორწინო და საოჯახო სამართალი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტომი IV, თბილისი, მეცნიერებათა აკადემია, 1993, გვ.138

ძეგლებში მკრთალად ჩანს. უნდა ითქვას, რომ ისტორიული პირობების კარნახით ქორწინების ყველა სხვა პირობათა შორის უკანასკნელი ირღვეოდა ხშირად.''[36]

რომაული სამართალი კრძალავდა ადრეულ ასაკში ნიშნობასა და ქორწინებას დასანიშნ პირთა ასაკის გამო. ,,ნიშნობის დაწესებასთან დაკავშირებით კონტრაჰენტების ასაკი განსაზღვრული არ არის, როგორც ეს არის ქორწინების შემთხვევაში, რის გამოც დანიშვნა ადრეულ ასაკშიც არის შესაძლებელი, ოღონდ თუ ორივე მხარეს ესმის ის, რასაც ისინი აკეთებენ, ე.ი შვიდ წლამდე ასაკისანი არ არიან.''[37]

ზემოაღნიშნული ქართულ რეალობაზე დაყრდნობით ცხადყოფს, რომ საქართველოში ქორწინების ასაკი და ქორწინება არა მარტო კანონით განისაძღვრებოდა, არამედ მოტაცებითა და დანიშვნით, რაც საინტერესო აღმოჩნდა რომის სამრთლებრივ საკითხებთან შესადარებლად. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ქართული კულტურული და სოციალური რეალობა არასდროს ყოფილა მსოფლიო მოვლენების მიღმა და ამას ვხედავთ იქედან, რომ ჯერ კიდევ ძველ საკანონმდებლო ძეგლებში ნიშნობის საკითხები მოცემულია ვახტანგ-VI-ის სამართლის წიგნის 223-ე მუხლში, ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 390-397-ე მუხლებში და სხვა.

[36] გ.ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, გამომც. „სამთავისი", თბილისი 1996 წ. გვ.19

[37] დიგესტები.23.1.9 (მითითბულია შოშიაშვილი ლ., ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, გამომცემლობა ,,მერიდიანი'' თბილისი, 2003 წ. გვ.9)

თავი მესამე

ქორწინების რეგისტრაციის ვადები და საქორწინო ასაკის ცენზები სხვადასხვა ქვეყნებში

ქორწინების რეგისტრაციის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს მიმართავენ განცხადებით მექორწინეები. კანონით მექორწინეთა განცხადებას ძალა შეტანიდან ორი თვის განმავლობაში აქვს, ამასთანავე მათ უფლება აქვთ მიუთითონ კონკრეტულ დღეზე, რა დღესაც სურთ მათ ქორწინების რეგისტრაციის გაფორმება. დაქორწინების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების სიმყარის ხარისხის მიხედვით მათ შეუძლიათ განცხადების შეტანიდან მეორე დღესვე მოითხოვონ ქორწინების რეგისტრაცია. პრაქტიკა ადასტურებს იმას, რომ განცხადების შეტანიდან ქორწინების რეგისტრციამდე მექორწინეთა მიერ განსაზღრული დრო მათ საშუალებას აძლევს დაფიქრდნენ და მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ მათ მიერ გადასადგმელ მეტად მნიშვნელოვან ნაბიჯს. სტატისტიკის მიხედვით, განმცხადებელთა 10-12 პროცენტი ორთვიან ვადაში უარს ამბობს ქორწინებაზე.[38]

საგულისხმოა სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის დამოკიდებულება ქორწინების ვადებთან მიმართებით. მაგალითად, ინგლისში დასაქორწინებელ პირთა მიმართ განცხადების შეტანიდან 48 საათის განმავლობაში სავალდებულოა მოხდეს მათი რეგისტრაცია. საფრანგეთში ასეთ ვადად დაწესებულია ათი დღე განცხადების შეტანიდან იმ პირობით, რომ თანამდებობის პირმა, რომელსაც ევალება ამ ქორწინების რეგისტრაცია, მოახდინოს ქორწინების შესახებ განცხადების გამოქვეყნება. აღნიშნულ ვადამდე ადრე არ დაიშვება ქორწინება, თუმცა განცხადება ქორწინების რეგისტრაციის თაობაზე ძალას ინარჩუნებს ერთი წლის განმავლობაში. თუ ერთი წლის განმავლობაში დასაქორწინებელი პირები ვერ მოახერხებენ რეგისტრაციას, თუმცა მათ შორის შეთანხმება ქორწინების რეგისტრაციის შესახებ

[38] რ. შენგელია, ე. შენგელია. საოჯახო სამართალი,გამომც. „მერიდიანი“ თბილისი,2009, გვ 94

კვლავ ძალაშია, პროცესი იწყება იმავე ათდღიანი ვადით. საინტერესოა გერმანიის კანონმდებლობის დამოკიდებულებაც, რომლის მიხედვითაც განცხადების გამოქვეყნება სავალდებულოა, მაგრამ საფრანგეთის კანონმდებლობისგან განსხვავებით ათდღიანი ვადა გაზრდილია ექვს თვემდე. [39]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ქორწინების რეგისტრაციისათვის დადგენილი ორთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, მექორწინეთა განცხადება ძალას კარგავს. იმ შემთხვევაში, თუ ისევ სურთ მექორწინეებს დაქორწინება, მათ თავიდან უნდა მიმართონ სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოს. არ აქვს მნიშვნელობა იმ ფაქტს, ვადის გაშვება საპატიო მიზეზით მოხდა თუ დაქორწინება მექორწინეებმა დროებით გადადეს. ჩვენი კანონმდებლობა უშვებს გამონაკლის შემთხვევას, როდესაც მექორწინეებს შეუძლიათ ქორწინების რეგისტრაცია მოახდინონ განცხადების შეტანის დღესვე. თუმცა ამისათვის უნდა არსებობდეს განსაკუთრებული გარემოება.

კანონით ასეთ გარემოებად დადგენილია ბავშვის დაბადება, ერთ-ერთი მექორწინის სიცოცხლისათვის რეალური საფრთხის არსებობა და სხვ. განცხადების შეტანის დღეს რეგისტრაციაზე მექორწინეებს შეიძლება იმ მოტივით ეთქვათ უარი, რომ სარეგისტარაციო ორგანოში შეტანილია სხვა უამრავი განცხადება. ასეთ შემთხვევაში, მექორწინეებს შეუძლიათ დაელოდნონ თავისუფალ თარიღს ან მიმართონ სხვა ტერიტორიულ სარეგისტრაციო ორგანოს. [40]

ქორწინების სახელმწიფოებრივი რეგულირება გულისხმობს ქორწინების პირობების განსაზღვრას. მას, რა თქმა უნდა, სახელმწიფო კანონის მეშვეობით ადგენს იმის მიხედვით თუ როდისაა ქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელი, ამის მიხედვით საქორწინო ასაკი სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირად რეგულირდება. ათეულობით ქვეყანაში მინიმალურ საქორწინო ასაკად

---

[39] შ. ჩიკვაიშვილი. საოჯახო სამართალი,გამომც. „მერიდიანი“, თბილისი,2004, გვ 91.
[40] რ. შენგელია, ე. შენგელია. საოჯახო სამართალი,გამომც. „მერიდიანი“, თბილისი,2009,გვ 95

დადგენილია 12 წელი. ზოგიერთ ქვეყანაში საქორწინო ასაკი საერთოდ არ არის განსაზღვრული. საფრანგეთში ქალებისთვის დადგენილია 15 წელი, მამაკაცებისთვის კი 18 წელი. მხოლოდ პროკურორს აქვს უფლება სერიოზული საფუძვლების არსებობისას იშუამდგომლოს დადგენილ ასაკამდე ქორწინების თაობაზე. (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 144-ე, 145-ე მუხლები). ინგლისში მინიმალური საქორწინო ასაკია 16 წელი როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისათვის, მისი შემცირება დაუშვებელია. გერმანიაში ორივე სქესის წარმომადგენლისათვის 18 წელია განსაზღვრული, შემცირება შეიძლება მშობლების თანხმობით და თუ ისინი წინააღმდეგნი არიან, მაშინ შეიძლება სასამართლოსათვის მიმართვა ნებართვის მისაღებად მხოლოდ იმ შმთხვევაში თუ ერთ-ერთ მექორწინეს შეუსრულდა 16, ხოლო მეორეს 18 წელი. მოლდავეთში საქორწინო ასაკად დადგენილია 16 წელი ქალებისთვის და 18 წელი მამაკაცებისათვის, თუმცა შესაძლებელია ამ ასაკის ორივესათვის 2 წლით შემცირება. რუსეთში საქორწინო ასაკი და სრული ქმედუნარიანობა იწყება 18 წლიდან. 16 წელზე ნაკლები ასაკის პირთა დაქორწინება შესაძლებელია, თუ ეს გათვალისწინებულია ფედერაციის სუბიექტთა კანონმდებლობით.[41] რაც შეეხება ისრაელის კანონმდებლობას, იქ საქორწინო ასაკად ქალებისთვის დადგენილია 17 წელი, ამასთან საყურადღებოა, რომ რელიგიური კანონმდებლობით ისრაელში საქორწინო ასაკად დაწესებულის ქალებისათვის 12,5 და ვაჟებისათვის 13 წელი.

ქორწინების ფორმასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა გვიჩვენებს, რომ მსოფლიოს ქვეყნები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ა) ქვეყნები, რომლებშიც ოფიციალურად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი ქორწინება, რომელიც რეგისტრირებულია სპეციალური სახელმწიფო ორგანოების მიერ, ანუ ე.წ. სამოქალაქო ქორწინება (საქართველო, გერმანია, საფრანგეთი, შვეიცარია, ნიდერლანდები, ბელგია და ა.შ.) ბ) ქვეყნები, რომლებიც აღიარებენ როგორც სამოქალაქო, ისე რელიგიურ (საეკლესიო) ქორწინებას და მათ შორის არჩევანის გაკეთების უფლება აქვთ

[41] რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია. საოჯახო სამართალი, თბილისი,2009,გვ 59

დასაქორწინებელ პირებს (დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ნორვეგია, დანია, ავსტრალია და ა.შ.). ასევე არის ქვეყნები, რომლებშიც ოფიციალურად მიიჩნევა მხოლოდ რელიგიური (ეკლესიური) წესით განხორციელებული ქორწინება და აგრეთვე არის ქვეყნები, რომლებშიც ქორწინება დაიშვება ე.წ. საერთო სამართლის (common law) პრინციპების მიხედვით. ამგვარ ქვეყნებში არ არის აუცილებელი ქორწინებისათვის შესაბამისი ფორმალობების დაცვა[42] (აშშ-ის ზოგიერთი შტატი, კანადის ზოგიერთი პროვინცია და ა.შ.).

[42] ზვიად გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომც. მერიდიანი, თბილისი, 2006, გვ 301

თავი მეოთხე

საკანონმდებლო ცვლილება და ხარვეზი კანონმდებლობაში

3.1 ხარვეზი კანონმდებლობაში და ნაადრევი ქორწინება ეთნიკურ უმცირესობებში

ადრეულ ქორწინებად ითვლება ოფიციალური ან არაოფიციალური კავშირი ორ ადამიანს შორის, რომელთაგან ერთ-ერთს მაინც არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის. იმისათვის რომ ქორწინება შედგეს, ქვეყნის მატერიალური სამართალი აწესებს გარკვეულ პირობებს. საქართველოს სკ-ის 1107-ე მუხლის მიხედვით დაქორწინებისათვის აუცილებელია ორი პირობის არსებობა: ა) საქორწინო ასაკი და ბ) დასაქორწინებელ პირთა თანხმობა. მსგავს მოთხოვნებს აყენებს ქორწინების მიმართ მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა, მაგრამ პრობლემა არის ის, რომ საქორწინო ასაკის მიმართ არსებობს განსხვავებული მიდგომები.[43] ზოგიერთი ქვეყანა მინიმალურ საქორწინო ასაკად საკმაოდ მცირე ასაკს განსაზღვრავს, ზოგიერთი საკმაოდ დიდ ასაკს, ზოგიერთი ითვალისწინებს არასრულწლოვანთა ქორწინებას მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის ნებართვით და ა.შ.

ქორწინების მეორე პირობა, როგორც აღვნიშნე, დასაქორწინებელ პირათა თანხმობაა. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 46-ე მუხლში ეს მკაცრადაა რეგლამენტირებული: „არ არის ქორწინება, თუ არ არის თანხმობა“. ამ პრინციპს მხარს უჭერს ევროპის ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ანალოგიურ მიდგომას ითვალისწინებს ქართული სამართალიც.[44]

---

[43] ზვიად გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2006, გვ 299

[44] იქვე გვ 300-301

აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ისლამურ ქვეყანაში პირთა ქორწინებისათვის არ არის აუცილებელი მათი თანხმობა. მაგალითად, იემენის საოჯახო სამართლის მიხედვით, დასაქორწინებელ პირთა თანხმობა არათუ სავალდებულოა, არამედ ამგვარი რამ საერთოდ არ მოითხოვება. ამიტომ არასრულწლოვანი პირის მეურვეს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ გაათხოვოს ან ცოლი მოაყვანინოს პირს, რომელმაც მიაღწია 15 წლის ასაკს. მეურვესვე შეუძლია გააფორმოს საქორწინო ხელშეკრულება (კონტრაქტი) და ა.შ.

სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის თანახმად ქორწინება დაიშვება 18 წლის ასაკიდან. რაც შეეხება 16 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის ქორწინებას, კოდექსის ძველი რედაქციით იგი დაიშვებოდა მშობლების ან მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით ხოლო თანხმობის მიუღებლობის შემთხვევაში პატივსადები მიზეზის არსებობისას დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე დაქორწინების ნებართვას გასცემდა სასამართლო. 2017 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა საკანონმდებლო ნორმა, რომლის მიხედვითაც 18 წლამდე მიუღწეველი პირები ვეღარც სასამართლოს ნებართვით დაქორწინდებიან. ამასთან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სრულწლოვანი პირის სქესოვრივი კავშირი 16-წლამდე ასაკის პირთან ისჯება თავისუფლების აღკვეთით 7-დან 9-წლამდე ვადით. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად კანონმდებლობაში ხარვეზი წარმოიშვა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლი წინააღმდეგობაში მოდის 1304-ე მუხლის „გ“ პუნქტთან, რომელიც მოიცავს მზრუნველობის შეწყვეტის საფუძვლებს, რომლის თანახმადაც მზრუნველობა შეწყდება: „თუ სამზრუნველო არასრულწლოვანი პირი დაქორწინდა.“ ამ შემთხვევაში აქ იგულისხმება, რომ სამზრუნველო ფუნქციებს მშობელი თუ სხვა სპეციალურად დანიშნული პირი ასრულებს მის სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე, მაგრამ შესაძლებელია მზრუნველობის შეწყვეტა როცა არასრულწლოვანი პირი დაქორწინდება, აქ გათვალისწინებული ის ფაქტი როცა კანონის ძველი რედაქციით შესაძლებელია

არასრულწლოვანთან დაქორწინება თექვსმეტი წლიდან. დაქორწინებული არასრულწლოვანი, რადგან სრულად ქმედუნარიანად ითვლება, იგულისხმება, რომ თავის უფლება-მოვალეობებსა და კანონიერ ინტერესებს დამოუკიდებლად დაიცავს. ზემოთ აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე ეს ნორმა რეალურად ვეღარ იფუნქციონირებს და ამდენაც ეს საკანონმდებლო ხარვეზი საჭიროებს აღმოფხვრას.

საკანონმდებლო ხარვეზთან ერთად უნდა განვილიხოთ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, თუ რამ განაპირობა ეს საკანონმდებლო ცვლილება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ყველაზე რეალური და ნათელი იქნება შევეხოთ ქალთა უფლებებს იმ ჭრილში, რაც საქორწინო ასაკთან მიმართებაში გვესაჭიროება, რადგან იძულებითი ქორწინების არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა. სამწუხაროდ, ზოგიერთი ფატალურად დასრულდა. ძალიან ბევრია შემთხვევა, როცა გოგონები არიან იძულებით გათხოვების მსხვერპლნი ოჯახების მხრიდან.

ადრეულ ასაკში ქორწინება კვლავ გამოწვევაა და საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, საკმაოდ დიდია გოგონათა ადრეული ქორწინების შემთხვევები. ერთ-ერთია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიეულ ერთეულებში ნაადრევი ქორწინების განმაპირობებელი ტრადიციები. ხშირად ისმის მოსაზრება, რომ ადრეული ქორწინება მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში ხდება, რაც ნაწილობრივ მცდარია. ის ყველგან ხდება და განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც დაბალია ხელმისაწვდომობა ინფორმაციასა და სერვისებზე. შესაბამისად, მარნეულში, სადაც ენობრივი ბარიერისა თუ სხვა გარემოებების გამო დაბალია მისაწვდომობა, უფრო მეტად თვალსაჩინოა ადრეული ქორწინების პრობლემა. ქორწინების უფლება პირდაპირაა დაკავშირებული ადამიანის უფლებებთან, ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავად განსაზღვროს საკუთარი მომავალი, აირჩიოს პარტნიორი და

დაგეგმოს ცხოვრება. მიუხედავად ამისა, მარნეულის მუნიციპალიტეტში ხშირად უხეშად ირღვევა ადამიანის, კერძოდ, არასრულწლოვანი გოგონების უფლებები.

კვლევის აქტუალობის გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ შეგვესწავლა ეთნიკური უმცირესობების რეალური მდგომარეობა. სამიზნე ჯგუფად მარნეულის მოსახლეობა ავარჩიეთ. არც ისე ადვილი გამოდგა ცოცხალი კომუნიკაცია და პირისპირ გულახდილი საუბრების წარმოება, მით უმეტეს გამოკითხვის ჩატარება. არც კვლევის შედეგების ინტერესის დაკარგვა აღმოჩნდა ადვილი და გადავწყვიტე პირადი ნაცნობების დახმარებით სოციალური ქსელის გამოყენება გამოკითხვისთვის. რამდენიმე ახლობელს დავუკავშირდი და საინტერესო ჯგუფი შეიკრა მარნეულში სიტუაციის შესწავლის მიზნით, უფრო მეტიც, "ფეისბუქზე" გულახდილობის ხარისხიც მაღალი აღმოჩნდა მოსალოდნელი შედეგიც საინტერესო უნდა იყოს. კვლევისთვის გამზადებული მაქვს სპეციალური კითხვარი, რომელიც ძალიან გასაგებ ენაზეა შედგენილი, მოიცავს სულ რამდენიმე მარტივ კითხვას, რომ არ იყოს დამღლელი და მოსაბეზრებელი და რეალური სიტუაციის შესასწავლად საინტერესო შედეგებს მოიტანს. (1 რესპოდენტის ასაკი; 2 რამდენი წლის დაქორწინდა; 3 ვინ გადაწყვიტა ქორწინება; 4 არიან თუ არა ბედნიერი პირადი ცხოვრებით? და ა.შ.)

„ჩვენი მენტალიტეტიდან გამომდინარე, თუ გოგო 18 წლამდე არ გათხოვდა, მერე ის შინაბერად ითვლება, აღარავინ წაიყვანს ცოლად. რაც შეეხება ახალი კანონის ამოქმედებას, ვფიქრობ, ეს არარეგისტრირებული ქორწინებების რიცხვს გაზრდის. ამჟამინდელი კანონმდებლობის პირობებშია ბევრი არარეგისტრირებული ოჯახი და ამ კანონის ამოქმედების შემდეგ, ვფიქრობ, ეს რიცხვი საგრძნობლად მოიმატებს. ჩემი აზრით, კანონის გამკაცრება არ არის გამოსავალი, საჭიროა, სახელმწიფომ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე იზრუნოს", – ამბობს მარნეულელი ფარვინ აბდულაევი.

ჩვენ შევეცდებით, ერთი კონკრეტული, მარნეულელი გოგონას ისტორიის მაგალითზე მოგიყვეთ, რა პრობლემების წინაშე შეიძლება დადგეს გოგონა, რომელსაც მშობლები ადრეულ ასაკში ქორწინებას აიძულებენ.

გუნკა ეთირმიშლი 24 წლის მარტოხელა დედაა. ის მარნეულის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში საკუთარი მშობლების სახლში ცხოვრობს. გუნკა 16 წლის იყო, როცა შეიტყო, რომ მშობლები სრულიად უცხო ადამიანზე უპირებდნენ გათხოვებას.

„მახსოვს, ზამთარი იყო. ძალიან მციოდა და სკოლიდან ადრე დავბრუნდი. მშობლები სახლში მელოდებოდნენ. მითხრეს, რომ სერიოზულ საკითხზე სურდათ ჩემთან საუბარი. მართალი გითხრათ, არაფერი გამიგია იმის მეტი, რომ ჩემთვის სრულიად უცნობ 30 წლის მამაკაცზე გათხოვებას მიპირებდნენ. მშობლებს წინააღმდეგობა ვერ გავუწიე, მათ თავიანთ კეთილ განზრახვებში დამარწმუნეს. ჩვენ ხელმოკლედ ვცხოვრობდით, რუსეთიდან ცოტა ხნის წინ დაბრუნებული მამაკაცის კანდიდატურით კი ჩემი მშობლები ძალიან მოიხიბლნენ, მეც შემპირდნენ, რომ დედოფალივით მაცხოვრებდნენ...

ქორწილი რამდენიმე დღეში დავნიშნეთ, ჩემი მომავალი ქმარი პირველად სწორედ საკუთარ ქორწილში ვნახე. ის ბოლომდე იმ დღესაც არ ყოფილა ჩემ გვერდით, შუა ქორწილში მიმატოვა და ძმაკაცებთან წავიდა.

რამდენიმე დღე დავრჩით მარნეულში და შემდეგ რუსეთში წავედით. აქ დაიწყო ჩემი ნამდვილი ტანჯვა... სახლში მთელ დღეებს მარტო ვატარებდი. როგორც პატიმარი, ისე ვცხოვრობდი. ბინაში ვცხოვრობდით და როდესაც ქმარი სახლში ბრუნდებოდა, იმის უფლებაც არ მქონდა, ფანჯრიდან გამეხედა.

რამდენიმე თვის შემდეგ მან ჩემზე ფიზიკური ძალადობა დაიწყო. მაშინ ვერ ვხვდებოდი, მეგონა, მართლაც ჩემი ცუდად მომზადებული ვახშმით ვიმსახურებდი

მის ასეთ მოპყრობას. მის გვერდით ცხოვრება დღითი დღე გაუსაძლისი ხდებოდა, ცოტა ხანში კი ისიც შევიტყვე, რომ მას რუსეთში სხვა ცოლ-შვილიც ჰყავდა.

ორსულად ვიყავი, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, სად წავსულიყავი, დახმარების სათხოვნელად ვისთვის მიმემართა. მინდოდა, ამ ყველაფრისგან თავი დამეღწია, თუმცა, არც ჩემს მშობლებთან დაბრუნება მინდოდა, ვერ ვპატიობდი, ამ ტანჯვისთვის რომ გამწირეს. თუმცა, ბოლოს მაინც მშობლებთან დავრეკე, მათ კი რამდენიმე დღეში მარნეულში ჩამომიყვანეს...“– გვიყვება გუნკა ეთირმიშლი.

გუნკას დღეს 6 წლის ბიჭი ჰყავს. როგორც გვეუბნება, შვილის აღზრდაში დედ-მამა ეხმარება. საკუთარი შვილისთვის მამას არც გვარი მიუცია, არც უნახავს და არც რაიმე ტიპის დახმარება გაუწევია. სოფელში დაბრუნების შემდეგ კი ახალგაზრდა დედაზე მუდმივად ჭორაობდნენ, „ოჯახის დანგრევაში“ მას სდებდნენ ბრალს, ეუბნებოდნენ, რომ უნდა მოეთმინა ქმრისგან ამგვარი მოპყრობა, რადგან თვითონაც ასე ითმენდნენ საკუთარი ქმრებისგან წამოსულ აგრესიას და რომ ეს სავსებით ნორმალურია. გუნკა უმუშევარია. სადაც მივიდა, ყველგან დიპლომი მოსთხოვეს, მას კი სკოლის ატესტატიც არ აქვს. საკუთარი ისტორიის მოსაყოლად რამდენჯერმე ტელევიზიაშიც დაუძახეს, თუმცა, მამის კატეგორიული უარის გამო, ვერც ერთხელ ვერ შეძლო ამის გაკეთება.

ადრეული ქორწინების, გაუცნობიერებელი გადაწყვეტილების გამო გუნკამ ვერ შეძლო განათლების მიღება, განიცადა და დღესაც განიცდის რამდენიმე სახის ძალადობას, მას უარის თქმა მოუწია უფლებაზე – თავად მიეღო გადაწყვეტილება. დღეს ის მარტოხელა დედაა, ოცნებობს სამსახურზე, განათლების მიღებაზე, თუმცა აცნობიერებს, რომ მიუხედავად სიძნელეებისა, შეუძლებელი არაფერია.

ამ საკითხთან დაკავშირებით გასული წლის 25 ნოემბერს, მარნეულში ქალთა მოძრაობის (Georgian Women”s Movement) ინიციატივითა და მარნეულის

მუნიციპალური სერვისის “ქალთა ოჯახის“ მხარდაჭერით გაიმართა მშვიდობიანი აქცია ლოზუნგით - „ნაადრევი ქორწინება გოგონებზე ძალადობაა!“

აქცია, მიზნად ისახავდა საზოგადოების ფართო მასების ცნობიერების ამაღლებას ძალადობის შესახებ და მათი ყურადღების მიპყრობას ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებისადმი როგორიცაა გოგონათა ადრეული ქორწინება, ძალადობრივი გზით. აღნიშნული აქციის ფარგლებში გოგონათა სოლიდარობის მიზნით, მარნეულის ქუჩებში მასობრივი მსვლელობა მოეწყო, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ახალგაზრდები და მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის თანამშრომლები. აქცია „ნაადრევი ქორწინება გოგონებზე ძალადობაა!“ - მარნეულში ქალთა მოძრაობის, მარნეულის ახალგაზრდული გენდერული კლუბის, მუნიციპალური სერვისის „ქალთა ოჯახი“ და დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა.

საქართველო ნაადრევი ქორწინებების მიხედვით ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებს ევროპულ ქვეყნებს შორის. გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNPF) კვლევის თანახმად, ქალების 17% 18 წლამდე თხოვდება. ეს ძირითადად რეგიონებში ხდება, როგორც ზემოთ აღვნიშნე ქვემო ქართლში. ამასთან დაკავშირებით გავესაუბრე მარნეულში მცხოვრებ სამირა ბაირამოვას, რომელიც მარნეულში ქალთა უფლებების დაცვის კუთხით მუშაობს, კერძოდ, არასრულწლოვანი გოგონების ნაადრევად გათხოვებისაგან დაცვას ცდილობს. მას შევხვდი სწორედ მარნეულის მესამე საჯარო სკოლაში, სადაც ის მერვედან მეთორმეტე კლასის მოსწავლეებს ნაადრევ ქორწინებაზე ესაუბრებოდა.

“კაცები ფიქრობენ, რომ გოგონა ჯერ კიდევ ბავშვია, არაფერი არ იცის და ეს მისთვის კარგიცაა, დედამთილებსაც მოსწონთ ეს, რადგან იმედი აქვთ, რომ ისე აღზრდიან ამ გოგონებს, როგორც სურთ და რასაც უნდათ იმას ასწავლიან. “ამბობს

სამირა ბაირამოვა. მისი თქმით, ამ რეგიონში მამაკაცს ცოლი მეტწილად 23 წლის და უფროსი ასაკიდან მოჰყავს და ჩვეულებრივი ამბავია, როცა ის მეუღლეზე უფროსია 10 წლით და ზოგჯერ მეტითაც, როცა მაგალითად, ქმარი 28 წლისაა, ცოლი კი 17 წელზე უმცროსი. მარნეულში ძალიან იშვიათია, როცა ორივე დაქორწინებული არასრულწლოვანია. როგორც წესი, ახალგაზრდა ოჯახებს არა აქვთ ნორმალური შემოსავალი, ამიტომაც მათ მშობლები ეხმარებიან, რაც მათ ახალგაზრდა წყვილის ურთიერთობაში უხეშად ჩარევის ბერკეტს აძლევს.

რატომ თხოვდებიან გოგონები ასე ადრე?

უპირველეს ყოვლისა, სოფლებში ახალგაზრდებს ნაკლები შესაძლებლობები გააჩნიათ, რაც მოზარდ გოგონებს ორ არჩევანს უტოვებს: ან სწავლა ან ოჯახი. ბაირამოვას თქმით, ახალგაზრდებისთვის სოფელში საინტერესო არაფერია, მარნეულშიც არ დადიან, არათუ სხვა ქალაქში და მათი დღე ძირითადად სკოლაში სიარულით და სახლში ყოფნით შემოიფარგლება. „ისინი ვერაფერს ხედავენ ცხოვრებაში, არა აქვთ ოცნებები, არაფერი…“ გვეუბნება სამირა და მარნეულისა და შემოგარენის ახალგაზრდების ცხოვრების ფრიად უსახურ და პესიმისტურ სურათს ხატავს. ამ ორი გზიდან ისინი ირჩევენ ერთს. თუ სწავლა არ უნდათ, მაშინ თხოვდებიან. სოფლებში მეტად ღარიბი ხალხი ცხოვრობს და უმეტესობა ფიქრობს, რომ გოგონებს განათლება არ სჭირდებათ. უსწავლელობა ქალთა და გოგონების ხვედრია აზერბაიჯანულ თემში, მათი ადგილი ოჯახშია, ამატებს ბაირამოვა.

გოგონებში ნაადრევი გათხოვების კიდევ ერთი მოტივაცია შეიძლება უკავშირდებოდეს მათ სურვილს, საკუთარ ოჯახებში უფრო დამოუკიდებლები გახდნენ. თუმცა უმეტეს შემთხვევაში დამოუკიდებლობის ნაცვლად მათ დედამთილ-მამამთილთან, და ქმრის ოჯახის სხვა წევრებთან, ერთად ცხოვრების შეგუება უწვეთ ხოლმე.

კიდევ ერთი მიზეზი, რატომაც პატარა გოგონებს გათხოვება სურთ, არის ქორწილის ცერემონიის ხიბლი. „მათ უბრალოდ სურთ, ჩაიცვან თეთრი კაბა, მიიღონ უამრავი საჩუქარი, ოქროულობა," ამბობს სამირა, რომელიც ფიქრობს, რომ გოგონათა უმეტესობა შეცდომას უშვებს, როცა ამ ასაკში ფიქრობენ, რომ „ნამდვილი სიყვარული" იპოვეს. ამასთანავე, გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოება გოგონებისთვის ქორწილამდე სექსუალურ ურთიერთობას გმობს, სწორედ ეს ფაქტორი, სექსუალური ურთიერთობის სურვილი, ხშირად დაოჯახების დამატებითი მოტივია ხდება.

კვლევების მიხედვით, მცირეწლოვანთა ქორწინება უფრო ხშირია რეგიონებში, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა თემებში, როგორიც არის მაგალითად აჭარა, პანკისი, აზერბაიჯანული სოფლები ქვემო ქართლსა და კახეთში.

ერთ-ერთი უახლესი კვლევა აჩვენებს, რომ ეთნიკურ უმცირესობების (აზერბაიჯანელი და გარკვეულწილად სომეხი) ქალების 42 პროცენტი ქვემო ქართლში 13-დან 18 წლამდე თხოვდება – 30 პროცენტი გათხოვდა 17-18 წლის ასაკში, 16 პროცენტი – 15-16 წლისა, ხოლო 5 პროცენტი 13-14 წლის ასაკში. ამავე კვლევის მიხედვით, ქვემო ქართლის მოსახლეობის 26.6 პროცენტი მხარს უჭერს გარიგებით ქორწინებას და ეთნიკური აზერბაიჯანელები უფრო უჭერენ მას მხარს, ვიდრე სომხები ან ქართველები.

ზემოთ ჩამოთვლილი რეგიონების მოსახლეობის უმეტესობა ისლამის მიმდევარია, რაც შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ აქ ადგილი აქვს რელიგიის ფაქტორს, თუმცა საინტერესო ისაა რომ ყურანში მათ არ უწერიათ რომ გოგო აუცილებლად ადრეულ ასაკში უნდა დაქორწინდეს, მეტიც ეთნიკური აზერბაიჯანელები ძალიან იშვიათად იცავენ რელიგიურ წესებს, ხოლო ნაადრევი ქორწინებები უფრო მეტად გამოწვეულია მოძველებული ადათებითა და სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობით.

ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო საუბარი წარვმართეთ მარნეულში მცხოვრებ ეროვნებით აზერბაიჯანელ 29 წლის მოქალაქესთან ნეზრა გასანოვასთან, რომელმაც ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ მარნეულში უკვე რამდენიმე წელია თავიანთი ნებით, „სიყვარულით“ ქორწინდებიან, თუმცა, სოფლებში ისევ ხდება იძულებით ქორწინება, როცა გოგოს ძალით ათხოვებენ.

საქორწინო ასაკთან დაკავშირებით ნეზრამ აღნიშნა რომ მარნეულში არიან ოჯახები, რომლებიც 14 წლის ასაკიდან ათხოვებენ შვილს და ეს ხდება ძირითადად გაუნათლებელ ოჯახებში. უმრავლესობამ იცის კიდეც რომ კანონი დიდი ხანია არსებობს, თუმცა არარეგისტრირებული ქორწინების რიცხვი ძალიან დიდია.

ქორწინება ჩვეულებრივ ხდება, უბრალოდ ისინი კანონიერი ცოლ-ქმარი არ ხდებიან, მაგრამ დებენ „რელიგიურ შეთანხმებას“ რომელსაც აფორმებს სპეციალური უფლებამოსილი რელიგიური პირი „მოლა“. თუ იგი ხედავს , რომ გოგო თავისი ნებით არის კმაყოფილი და თანახმაა მაშინ „მოლა“ აძლევს უფლებას დადონ „რელიგიურ შეთანხმება“. მოლა გახლავთ მინიმუმ 26, 27 წლის პირი, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს რელიგიური განათლება მიღებული. რელიგიური განათლების მიღება არ არის მარტივი, 6 წელი მაინც უნდა ისწავლოს რომ მიიღოს სათანადო ცოდნა. ამასთანავე „მოლამ“ უნდა იცოდეს არაბულად კითხვა, კარგად უნდა ესმოდეს რელიგიური კანონები. თუ იგი დაინახავს, რომ გოგოს არ უნდა გათხოვება მაშინ არ დადებს ხელშეკრულებას ვინაიდან, წმინდა წიგნში- „ყურანში“ დაუშვებელია გოგოს და ბიჭის ნებართვის გარეშე ძალდატანებით დაქორწინება. აქედან გამომდინარე, „მოლა“ როცა დარწმუნდება, რომ მართლა უნდათ ქორწინება, მაშინ დებს ხელშეკრულებას და წყვილს მოაწერინებს ხელს. ხოლო 18 წლის შესრულების შემდეგ წყვილი უკვე კანონიერად აფორმებს ქორწინებას. მთავარია, რომ ქორწილი შედგეს, გაფორმდეს „რელიგიური

შეთანხმება“, ხალხმა ნახოს რომ დაქორწინდნენ და კანონი ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანი ხდება.

ასეთი ქორწინების შემდეგ ქალი განათლებას იღებს თუ არა?

ასეთ შემთხვევებში ძირითადად ქალების უმრავლესობა ვერ იღებს განათლებას, ზოგ ოჯახში კი ეხმარება დედამთილი და დადიან უნივერსიტეტში მაგრამ უმეტესობას არ აქვს საშუალება და დიასახლისობით კავდებიან სახლში. კაცები დაოჯახების მერე იღებენ განათლებას.- გვეუბნება ნეზრა.

დაქორწინება ძირითადად ხდება შემდეგნაირად: წყვილს უყვარს ერთმანეთი, შემდეგ ბიჭი მოიტაცებს გოგოს. გოგონებს არ უნდათ სწავლა,16-17 წლის ასაკში უკვე გათხოვება ურჩევნიათ და მერე როცა იზრდებიან ნანობენ და 25-26 წლისას უკვე სწავლაზე ფიქრობენ.

ჩვენ მიერ წარმოებულმა კვლევამ გამოავლინა საინტერესო მაგალითები და პირისპირ ინტერვიუების წარმოებისას აღმოჩნდა, რომ პრობლემა არც ისე მარტივია და დღემდე რჩება გადაუჭრელად ბევრ შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ კანონში ცვლილება შევიდა და ნაადრევი ქორწინება აიკრძალა, მეტიც სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დასჯადია სქესობრივი კავშირი 16-წელს მიუღწეველ პირთან მაინც ადგილი აქვს ქორწინების იძულებას და ეს არის დანაშაული. ამ შემთხვევაში კანონთან ერთად მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება რათა გაითავისონ რომ ადამიანის ნების საწინააღმდეგოდ მოქმედება დანაშაულია. არასრულწლოვან პირთან ასეთ საკითხებზე საუბრისას მთავარი მოკავშირე მშობლის მერე არის მასწავლებელი და სწორედ აქედან უნდა დაიწყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ვინაიდან, შეხვედრებიდან ნათლად გამოიკვეთა ასეთი ინფორმაციის მიწოდების ნაკლებობა ან საერთოდ არაინფორმირებულობა მასწავლებლების მხრიდან, რაც საბოლოო ჯამში გვაძლევს იმ მდგომარეობას რაც დღეს არის ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებით და შესაბამისად პრობლემა რჩება გადაუჭრელად

3.2 სისხლის სამართლის რეგულაცია ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებით

სქესობრივი კავშირი 16 წელს მიუღწეველ პირთან სისხლის სამართლის დანაშაულია და დამნაშავე ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით,(სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში), რომელიც 7-დან 9 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს და ამ შემთხვევაში, ცხადია, ოჯახის შექმნის განზრახვა გამამართლებელ მიზეზად არ ჩაითვლება. ასევე ისჯება იძულებითი ქორწინება. აქ სასჯელს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე პრიმა მუხლი (ქორწინების იძულება) განსაზღვრავს. სწორედ ამის შეზღუდვა იყო პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხი რათა კანონმდებლობაში ეს ცვლილება განეხორციელებინათ.

მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ ასაკში ქორწინებისას საკმაოდ მაღალია 16 წლამდე პირების სრულწლოვან პირებთან ურთიერთობის შემთხვევები, საკმაოდ დაბალია რეაგირების მაჩვენებელი. ასევე, პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე და არაინფორმირებულობა. ხშირ შემთხვევაში, მათ არ იციან, რომ აღნიშნული მუხლი შემამსუბუქებელ გარემოებას არ ითვალისწინებს და ოჯახის შექმნით (თუ ოჯახის შექმნის მიზნით) ვერ იქნება გამართლებული. საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, რეაგირება საკმაოდ გაზრდილია, რაც დადებითად უნდა აღინიშნოს. მაგალითისთვის; 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს სსკ 140–ე მუხლით დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნის მაჩვენებელი 74%–ით არის გაზრდილი; 2014 წელს სსკ 140–ე მუხლით სისხლის სამართლებრივი დევნა 33 პირის მიმართ დაიწყო, ხოლო 2015 წელს – 129 პირის მიმართ.[45] 2016 წელს ეს რიცხვი 171-მდე გაიზარდა. აქ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 171

[45] საქართველოს პროკურატურის წერილები #13/60324 / 25.09.15 – #13/5363 / 23.01.16>[30.04.2019].

გამტყუნებულთაგან 167-ს პირობითი მსჯავრი შეეფარდა, ორმა ჯარიმა გადაიხადა, დანარჩენი ორი დამნაშავე საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით დასაჯეს.

სსკ 143–ე მუხლით ისჯება ადამიანისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მათ შორის, არასრულწლოვანისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა, რომელიც შეიძლება იყოს ქორწინების მიზნით მოტაცება. აღსანიშნავია, რომ 82%-ით გაზრდილია სსკ 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის პირთა მიმართ დევნის მაჩვენებელიც, რომელიც 2014 წელს 11 იყო; ხოლო 2015 წელს 60–ს მიაღწია. ამ შემთხვევებიდან, 2015 წლის პირველ ნახევარში, დევნა სულ სამი პირის მიმართ დაიწყო და სამივე სისხლის სამართლის საქმეზე გამოიკვეთა, რომ თავისუფლების უკანონო აღკვეთა ქორწინების მიზნით[46] მოხდა, ხოლო 2015 წლის მეორე 6 თვის მონაცემებით, სულ 57 შემთხვევა დაფიქსირდა. თუმცა, ეს მაჩვენებელი არ გულისხმობს მხოლოდ არასრულწლოვანისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთას, ვინაიდან, როგორც საქართველოს პროკურატურა გვატყობინებს[47] , აღნიშნულის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის[48] თანახმად, 2014 წლის განმავლობაში, მათ სკოლებიდან ან შინაგან საქმეთა სამინისტროდან, ადრეულ ასაკში ქორწინების არცერთი შემთხვევის შესახებ არ მიუღიათ შეტყობინება, ხოლო იმ რამდენიმე ფაქტის შესწავლა, რომელიც მათ მიერ განხორციელდა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის შედეგად გახდა შესაძლებელი. ერთი შემთხვევის შესახებ კი, საავადმყოფოდან ეცნობათ. 2015 წელს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ადრეულ ასაკში ქორწინების

[46] საქართველოს პროკურატურის წერილი #13/60324 / 25.09.15>[30.04.2019].
[47] საქართველოს პროკურატურის წერილი #13/5363 / 23.01.16>[30.04.2019].
[48] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი #04/16119; 09/03/2015>[30.04.2019].

შესახებ შესწავლილი საქმეების მთლიანი რაოდენობა 47 იყო. მონაცემები იძლევა მათი რეგიონების მიხედვით გადანაწილების შესაძლებლობას.[49]

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საქმიანობის შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა სხვადასხვა ხარვეზი, როგორიცაა მაგალითად - ქართული ენის არმცოდნე პირებისთვის სერვისის მიწოდების ხარვეზები ან რეაგირების შეუძლებლობა იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვების მშობლები და თავად ბავშვები არ გამოთქვამენ რაიმე სახის პროტესტს ან უკმაყოფილებას მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. ასეთ დროს, სოციალური მუშაკები მიიჩნევენ, რომ რეაგირება საჭირო აღარ არის, რადგან ბავშვის ინტერესები დაცულია, რაც სინამდვილეში ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის ვალდებულებას, რომელიც ბავშვის უფლებათა კონვენციის მესამე მუხლის თანახმად, სწორედ, სახელმწიფოს აკისრია.

არსებულმა ვითარებამ ნათელი გახადა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოსაც, ისევე, როგორც სკოლებს, უძნელდება კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება ისეთ რეგიონებში, სადაც ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ, ვინაიდან ენის ბარიერი საგრძნობლად აფერხებს მუშაობის პროცესს და ასევე განაპირობებს სერვისების ნაკლებობას. შედეგად კი, ზარალდება ისეთი მოწყვლადი ჯგუფი, როგორიც ძალადობის მსხვერპლი ბავშვებია.

მარნეულის შეხვედრის დამსწრეებმაც აღნიშნეს სახელმწიფოს როლი, რომელსაც დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტების აღმოსაფხვრელად – პრობლემა არ არის მარტო მოსახლეობაში, არამედ სახელმწიფოშიც. ერთ-ერთმა დამსწრემ აღნიშნა, რომ ორი წელი მუშაობდა სასამართლოში და 15 ფაქტი მაინც ახსოვს მოტაცების შემთხვევაში. ამ საქმეებიდან

[49] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილები #04/71601 / 22.09.15 – #04/3552 / 18.01.16>[08.05.2019].

100% საპროცესო შეთანხმებით დასრულდა. ასეთ შემთხვევებზე სახელმწიფო რეაგირება არ არის, მიმართვიანობაც ძალიან დაბალია.

ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებით ერთ-ერთი გახმაურებული შემთხვევა იყო 2018 წელს, რომელიც ასევე სატელევიზიოდაც გაშუქდა. საქმე იყო ასეთი: 2018 წლის 31 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სახალხო დამცველის აპარატიდან შემოვიდა შეტყობინება იმის თაობაზე, რომ 17 წლის ჩინარა კოჯაევას მამა აიძულებდა მისთვის არასასურველ მამაკაცზე გათხოვებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით ასევე განცხადება შემოსული იყო 2016 წელს და ამ შეტყობინების თანახმადაც გოგონას ოჯახის წევრები აიძულებდნენ გათხოვებას, რა დროსაც ჩინარა 14 წლის გახლდათ.

ჩინარა ცხოვრობდა თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოსალარში და 14 წლის იყო, როდესაც იგი ერთ დღეს სკოლიდან სახლში დაბრუნდა და სტუმრები დახვდა. ამ დროს დედამისმა გამოუცხადა რომ უკვე დანიშნული იყო. მისთვის აზრი არავის უკითხავს და უკვე 16 წლის ასაკში გოგონა მშობლების რჩეულს უნდა გაყოლოდა ცოლად. ამ დროს მას სულ სხვა მიზნები და მისწრაფებები ამოძრავებდა. ჩინარას სურდა სწავლის გაგრძელება და არა დაოჯახება. შეგახსენებთ, რომ ერთადერთი მოკავშირე ამ საქმეში იყო მხოლოდ მისი მასწავლებელი. ჩინარა უკვე 16 წლის იყო როცა საქორწინო სამზადისი დაიწყო და სწორედ მისმა მასწავლებელმა მიაწოდა ეს ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატს და მაშინვე საქმე გადაეცა თეთრიწყაროს ადგილობრივ პოლიციას. რის შედეგადაც ჩინარა მშობლებთან ერთად პოლიციაში დაიბარეს. გოგონა ვერ წავიდა მშობლების წინააღმდეგ და უარყო ის ფაქტი, რომ გათხოვებას უპირებდნენ. მამამაც უარყო ეს ფაქტი და შეპირდა, რომ 18 წლამდე არ გაათოვებდნენ. ამ დროს ჩინარა თემისგან გარიყული დარჩა, რადგან უარი თქვა გათხოვებაზე, თუმცა ეს ამბავი ამით არ დასრულებულა, რადგან ერთი წლის შემდეგ მშობლები კვლავ ქორწილზე ალაპარაკდნენ და თარიღიც დანიშნეს. ჩინარა უკვე 17 წლის გახლდათ როცა ქორწილი დანიშნული იყო შეტყობინებიდან ძალიან

მალე, კერძოდ, შეტყობინება შემოვიდა 31 აგვისტოს და ქორწილი დანიშნული იყო 8 სექტემბერს, უკვე ყველაფერი მზად იყო, გოგონა დეპრესიაში ჩავარდა. ოჯახი ბრმად მისდევდა ტრადიციას და ერთი წუთით არ დაფიქრებულა როგორ და რისთვის ათხოვებდნენ გოგონას. იმდენად დიდი იყო მშობლების გავლენა ჩინარაზე, იგი ხვდებოდა, რომ მარტო ვერ შეძლებდა წინააღმდეგობის გაწევას ამ სამართლებრივ ბრძოლაში და მას სჭირდებოდა საჭირო ადამიანების დახმარება და ეს შეატყობინა სახალხო დამცველის აპარატს. რის შემდეგაც იგი თავშესაფარში გადაიყვანეს და მამის მიმართ დაიწერა შემაკავებელი ორდერი. ჩინარა ჩართეს სარეაბილიტაციო პროგრამებში, მიუხედავად ამისა, სხვადასხვა გზებით მსხვერპლზე მუდმივად ხდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა, თუ როგორ გაბედა მამის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა და სთხოვდნენ სახლში დაბრუნებას და ყველაფერი ისე იქნებოდა როგორც თვითონ უნდოდა. ამის შემდეგ იყო დაბრუნების მცდელობა, მაგრამ ჩინარამ გადაიფიქრა, დაუბრუნდა ისევ თავშესაფარს და აირჩია თავისუფლება. ხოლო ჩინარას მამა დააკავეს, იგი სასამართლომ დამნაშავედ ცნო და შეუფარდეს თავისუფლების აღკვეთა ორი წლით. აქედან ერთი წელი პენიტენციალურ დაწესებულებაში და ერთი წელი პირობითი.

ზემოთ არნიშნულიდან მინდა ვთქვა, რომ ფაქტობრივად ეს იყო პატარა გოგოს ძალადობრივ ჯაჭვში ჩათრევა: იძულებითი სქესობრივი კავშირი, არასასურველი პარტნიორი, დეპრესია, განათლებაზე უარის თქმა, სხვაზე დამოკიდებულება. ეს არის დანაშაული, რომელიც აფერხებს ახალგაზრდის განვითარებას და ისინი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას დამოუკიდებლად განსაზღვრონ ან განკარგონ საკუთარი მომავალი. ყველაზე ცუდი ამ შემთხვევაში არის ის, რომ აგრსია მოძალადის მიმართ არ ყოფილა, აგრესია იყო მსხვერპლის მიმართ. ვერც მშობლები, ვერც ახლო ნათესავები და ვერც იქ მცხოვრები მოსახლეობა ვერ ხვდებოდა თუ რატომ ერეოდა სახელმწიფო გოგონას ცხოვრებაში. პირიქით მსხვერპლი საკუთარი ოჯახისგან და ახლობლებისგან დარჩა გარიყული და ერთადერთი მოკავშირე ამ საქმეში იყო მხოლოდ ჩინარას მასწავლებელი. აქედან გამომდინარე

მნიშვნელოვანია, რომ გაძლიერდეს ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული აქტივობები და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მასწავლებლების, მშობლებისა და სამართალდამცავი უწყებების ცნობიერების ამაღლებას, ადრეული ქორწინებით გამოწვეული პრობლემებისა და ქვეყანაში არსებული სამართლებრივი რეგულაციების შესახებ, რადგან სტატისტიკით ჩანს, რომ ძალიან ბევრი არასრულწლოვანი სკოლას არ ამთავრებს, ნაადრევად წყვეტს განათლებას. ძალიან დიდია განქორწინების რიცხვი იმ წყვილებს შორის, რომლებმაც ნაადრევად გადაწყვიტა დაქორწინება. ასევე დემოგრაფიული თვალსაზრისით, 18 წლამდე შობადობა არის ძალიან მძიმე შედეგების მომცემი ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის თვალსაზრისით. ძალიან ბევრი არგუმენტი არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ უნდა შეეზღუდათ ქორწინების რეგისტრაცია არასრულწლოვანი პირების შემთხვევაში.

თავი მეხუთე

სტატისტიკა

4.1 ნაადრევი ქორწინების სტატისტიკა

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ზუსტი მონაცემები ადრეული ქორწინების შესახებ, რადგან ქორწინებათა უმრავლესობა არ არის რეგისტრირებული, აქედან გამომდინარე, თუკი გავითვალისწინებთ არარეგისტრირებული ქორწინებების რაოდენობასაც, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს რიცხვი გაცილებით მაღალია. 2013 წლის კვლევების თანახმად, საქართველო მე-2 ადგილს იკავებდა მოლდოვას შემდეგ, გოგონათა ნაადრევი გათხოვების ჭრილში. მას მოსდევდა ტაჯიკეთი და თურქეთი. როგორც აღმოჩნდა, 20-დან 24-წლამდე ასაკის გოგონების 19% არასრულწლოვნობის ასაკში იყვნენ დაქორწინებულნი. სახალხო დამცველმა 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში წარმოადგინა ადრეული ქორწინების შესახებ ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა. ანგარიშის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, 2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის იანვრამდე, საჯარო და კერძო სკოლებში საბაზო საფეხურის დასრულებამდე, 7 367 გოგონამ შეწყვიტა განათლების მიღება, რისი მიზეზიც, უმრავლეს შემთხვევაში, ადრეული ქორწინებაა. განათლების შეწყვეტის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალი იყო ქვემო ქართლის რეგიონში. მიუხედავად ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციებისა, ადრეული ქორწინების თემა კვლავ აქტუალურია.

2014 წელს საქართველოში 18 წელს მიუღწეველ პირთა შორის ქორწინება 14%-ს შეადგენს. 2015 წელს კი განათლების სამინისტროს ინფორმაციით[50] ოჯახის

[50] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილები # MES 7 15 00971410 / 25.09.15 – MES 8 16 00046633 /21.01.16>[09.05.2019].

შექმნის მიზეზით, სწავლა 13-დან 17 წლამდე 408 მოსწავლემ შეწყვიტა, ხოლო 168 შემთხვევაში, სწავლას თავი 18 წელს მიღწეულმა პირმა დაანება.

ჩვენ ასეევე მოვიძიეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია,[51] რომლის თანახმად, 2015 წელს 611 არასრულწლოვანი პირის ქორწინება დარეგისტრირდა, ხოლო 2014 წელს - 665. მოცემული მაჩვენებლებიდან, 95%-ის შემთხვევაში, არასრულწლოვანი გოგო იყო. თითქმის სამჯერ მეტია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემები,[52] რომლებიც ბავშვის რეგისტრაციის მომენტში არასრულწლოვანი მშობლების რაოდენობას შეეხება. 2014-2015 წლის მონაცემები თითქმის იდენტურია; თუმცა, ყველა დანარჩენ მონაცემებს, რომელიც ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებით მოვიპოვეთ, საგრძნობლად აღემატება და ამასთან, გაცილებით უფრო ზუსტია, რადგან ქორწინების რეგისტრაცია ხშირად არ ხდება.

გაეროს ქალთა ფონდის მონაცემებით, ქვემო ქართლში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სხვადასხვა ასაკის ქალებში ქორწინებების რაოდენობა ასეთია: 25 წელს ზემოთ ოჯახს ქმნის ქალების 7,2%, 19 – 24 წლამდე - 42%, 17-18 წლამდე - 30.3%, 15-16 წლამდე 16%. 13-14 წლის გოგონებში კი ქორწინებათა რაოდენობა 5.1%-ს შეადგენს.

ექსპერტთა და ფსიქოლოგთა აზრით, ნაადრევ ქორწინებას თან სდევს პრობლემათა ფართო სპექტრი. ისეთები, როგორებიცაა: ორსულობის გართულება, ძალადობის დიდი რისკი, განათლების შეწყვეტა და ა.შ. სწორედ განათლების შეწყვეტაზე გაამახვილა ყურადღება სახალხო დამცველმა 2013 წლის ანგარიშში, რომელშიც ნათქვამია: ,,მიუხედავად არსებული ეროვნული თუ საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციებისა, ხშირია სკოლების მიტოვების ფაქტები ადრეული

[51] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილები: #7264 / 23.09.2015, #01/14677 / 25.01.16. >[10.05.2019].

[52] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილები: #7264 / 23.09.2015; #01/14677 / 25.01.16; >[10.05.2019].

ქორწინების მიზეზით. განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელია რეგიონებსა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიეულ ერთეულებში."

მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ ასაკში ბავშვთა ქორწინების საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში შეესაბამება საერთაშორისო მიდგომებს, განსხვავებული მდგომარეობაა პრაქტიკული თვალსაზრისით. საქართველოში ადრეული ქორწინების მიზეზების, მასშტაბებისა და შედეგების შესასწავლად სიღრმისეული კვლევა ჯერ არ ჩატარებულა. ამის მიზეზები შეიძლება იყოს დიდი ხნის განმავლობაში ამ პრობლემის უხილავობა და ასევე, სტატისტიკური მონაცემების სიმწირე. არსებული შეზღუდული მონაცემები რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და ადამიანის უფლებებზე ჩატარებული კვლევებით შემოიფარგლება და მათ ირიბ შედეგს წარმოადგენს. გარდა ამისა, მონაცემები ვერ იქნება სრული, რადგან ნაადრევი ქორწინება ხშირად არ არის ოფიციალურად დარეგისტრირებული - 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირი ოფიციალურად ვერ შეძლებს ქორწინების დარეგისტრირებას. აქედან გამომდინარე, ინფორმაცია დარეგისტრირებული ქორწინებების რიცხვის შესახებ, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საკმარისი არ არის ნაადრევი ქორწინების ტენდენციების გამოსავლენად, თუმცა კვლევები მაინც საინტერესო ინფორმაციას იძლევა:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად დაქორწინებული 16-19 წლის თინეიჯერების რიცხვი 2002 წლიდან 2009 წლამდე გასამმაგდა, 2010-2011 წლებში მონაცემები მცირედით შემცირდა. ყველაზე მეტმა თინეიჯერმა 2009 წელს იქორწინა: 1271 ბიჭი და 5596 გოგონა.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საქართველოს აქვს ნაადრევი ქორწინების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ისევე, როგორც მოლდოვას (19%) და

თურქეთს(14%).

ასეთ ვითარებაში, ძალიან რთულია მიზეზებზე საუბარი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადრეული ქორწინების პრაქტიკა და გარემოებები საქართველოში არ არის ჰომოგენური და საკმაოდ განსხვავდება ეთნიკური წარმომავლობის, რელგიისა და რეგიონების მიხედვით. მაგალითად, მშობლების გარიგებით ქორწინება უფრო გავრცელებულია ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებში, განსაკუთრებით რეგიონებში. სხვა მიზეზებს შორისაა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების არასათანადო ინტეგრაცია ფართო საზოგადოებაში. ამ ჯგუფების წარმომადგენელი ბევრი გოგონა ქართულ ენას სათანადოდ არ ფლობს, რაც უფრო აღრმავებს მათ იზოლაციას და არ უტოვებს მათ ფართო არჩევანს კარიერის მხრივ. საზოგადოებრივი სივრციდან გარიყვა კი ამყარებს გენდერულ როლებს და გოგონები ადრეულ ქორწინებაში ხედავენ ერთადერთ არჩევანს. რიგ რეგიონებში ქალის განათლება და მათი საზოგადოებრივი როლი დაკნინებულია. გოგონები, განსაკუთრებით - სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, ტოვებენ სკოლას, რის შემდეგაც მათთვის ქორწინებაა ერთადერთი არჩევანი; სხვა შემთხვევაში, განათლების მიღებას გოგონები დანიშვნის შემდეგ, ქორწინებამდეც წყვეტენ და მხოლოდ მომავალი ქმრის "ნებართვით" შეუძლია გოგონას განათლების გაგრძელება. ნაადრევი ქორწინების მიზეზი ასევე ზოგჯერ ის არის, რომ ოჯახის საქმეებში ჩარევა ხშირად არ მიიჩნევა მიზანშეწონილად მაშინაც კი, როცა ირღვევა კანონი.

4.2 სახალხო დამცველის ანგარიში

ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებით მომზადდა სპეციალური ანგარიში სახალო დამცველის აპარატის მიერ. ამ ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მიერ ადრეულ ასაკში ქორწინების ინდივიდუალური შემთხვევების შესწავლის, შესაბამისი უწყებების საქმიანობის მონიტორინგისა და საინფორმაციო შეხვედრების ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის ერთ–ერთ მიმართულებას, სწორედ, ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენცია წარმოადგენს. 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში პირველად აისახა სიღრმისეული შეფასება და სტატისტიკური მონაცემები. 2015- 2016 წლებში გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა კახეთის, სამცხე–ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და აჭარის მუნიციპალურ ერთეულებში 30 შეხვედრა ჩაატარა, რომელიც მიზნად მიღებული ინფორმაციის გაანალიზებას, არსებული პრობლემებისა და შესაძლო გადაჭრის გზების გამოკვეთას ისახავდა.

საკითხის შესწავლამ ცხადყო, რომ მთავარ გამოწვევას საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე, სერვისების მიწოდებისას არსებული ხარვეზები და არაეფექტური რეაგირება წარმოადგენს. ეს პრობლემები განსაკუთრებით მაღალმთიან და ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში იჩენს თავს, სადაც სერვისებზე ხელმისაწვდომობა რიგი მიზეზების გამო რთულდება.

კვლევების თანახმად, განმტკიცდა მოსაზრება, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება არღვევს ბავშვის ჯანმრთელობის, განათლების, თანასწორობის, ძალადობისა და ექსპლუატაციისგან თავისუფალ გარემოში ცხოვრების უფლებას. ეს უფლებები დაცულია გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაციით, ბავშვის

უფლებათა კონვენციითა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით.

გოგონები, რომლებიც 18 წლის ასაკამდე ქორწინდებიან, ხშირ შემთხვევაში აღარ აგრძელებენ სკოლაში სიარულს და წყვეტენ განათლების მიღებას. ისინი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფს განეკუთვნებიან. სამწუხაროდ, ადრეულ ასაკში ქორწინება საქართველოში მწვავე პრობლემას წარმოადგენს. გავრცელებულია როგორც ქორწინების იძულების, ასევე ნიშნობების პრაქტიკაც. მთავარ გამოწვევას საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე და სერვისების არაეფექტური მიწოდება წარმოადგენს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, 2014 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 150 მუხლი – ქორწინების იძულება დაემატა. თუმცა, საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის 2015 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა არც ერთი პირის მიმართ არ დაწყებულა.

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განახორციელა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ბავშვის მიერ სკოლის მიტოვების შემთხვევაში, მიტოვების საფუძვლის მითითება ხდება; რამაც ნაწილობრივ შესაძლებელი გახადა ადრეულ ასაკში ქორწინების მასშტაბების დანახვა.

4.3 ადრეულ ასაკში ქორწინების პრაქტიკა საქართველოს რეგიონებში

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში საინფორმაციო და ფოკუს ჯგუფის შეხვედრები მოაწყო. შეხვედრები მიზნად ისახავდა ადრეულ ასაკში ქორწინების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, მისი გამომწვევი მიზეზებისა და თანმდევი პრობლემების ადგილზე გაცნობას. ვიზიტების ფარგლებში გასაუბრება მოხდა როგორც პედაგოგებთან თუ სხვა სერვისის მიმწოდებელ სტრუქტურებთან, ასევე, სკოლის მოსწავლეებთან.

შესწავლის შედეგები ცხადყოფს, რომ მოსახლეობას და მათ შორის ბავშვებს, არ აქვთ სათანადო ინფორმაცია იძულებითი ქორწინების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის შესახებ. დღემდე მოქმედებს პრინციპი – „ოჯახის საქმე“, რომელში ჩარევასაც სხვადასხვა დაინტერესებული პირები თავს არიდებენ. პასუხისმგებლობას არ გრძნობენ პედაგოგებიც, რომლებიც ფაქტის შეტყობის შედეგად, არ მოქმედებენ კანონით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად. მეტიც, შეხვედრაზე დამსწრე მასწავლებელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არც კი იცოდა ასეთი ვალდებულებების არსებობის შესახებ. ასევე, მოქმედებს გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც გოგონების უთანასწორო მდგომარეობაში ჩაყენებით ახალისებს ადრეული ქორწინების პრაქტიკას.

ამასთან, ადრეულ ასაკში ქორწინების მიზეზები მოსახლეობას არასწორად აქვს დანახული. შეხვედრის მონაწილეები ასეთად ასახელებდნენ ბავშვების სითამამეს, ტექნოლოგიურ წინსვლას, რელიგიურ ფაქტორებს, ინტერესს საპირისპირო სქესის მიმართ, თუმცა არ განიხილავდნენ გარემოებას, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტები ინფორმაციის ნაკლებობას, გენდერულ უთანასწორობასა და საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებს უკავშირდება.

მონაწილეები საუბრობენ გოგონებისთვის მიცემულ ზედმეტ თავისუფლებაზე, რასაც ხშირად სავალალო შედეგები ახლავს თან. მათი აზრით, ზედმეტი თავისუფლება სწორედ ის ფაქტორია, რომელსაც ადრეულ ასაკში ქორწინებამდე მივყავართ.

– ვფიქრობ, ინტერნეტმა და თავისუფლებამ მოიტანა ეს. მასწავლებელი ვარ და ყოველ წელს კლასში თითო გოგონა მაკლდება. 14–16 წლის გოგონებს დიდი თავისუფლება მიანიჭეს და ვფიქრობ, რომ 20 წლის წინ ეს საკითხი სხვანაირად იდგა. შეიძლება პერსპექტივის ნაკლებობაც იყოს ამის მიზეზი.

– ვფიქრობ, ახალგაზრდობამ ცუდად გაიგო თავისუფლების იდეა და ამის გამოხატვა უნდათ ისეთ რამეებში, რაზეც დაფიქრება მართებთ. მათი თავისუფლება უფრო თავხედობაში ვლინდება.

თუმცა, ეს საზოგადოება არ აცნობიერებს, რომ საპირისპირო სქესის მიმართ ინტერესი მოზარდებს განსაკუთრებით გარდატეხის ასაკში უმძაფრდებათ, რაც ნორმალურია და ეს ქორწინებით არ უნდა სრულდებოდეს. სინამდვილეში მოზარდებმა, განსაკუთრებით კი, გოგონებმა იციან, რომ მითქმა-მოთქმისა და განსჯის საგანი გახდებიან მეზობლების, ნათესავებისა და პედაგოგების მხრიდან, თუკი საპირისპირო სქესის მიმართ ინტერესს გამოხატავენ. სასიყვარულო თუ მეგობრულ შეხვედრებზე საპირისპირო სქესის მოზარდთან შეხვედრა გოგოს სახელს გაუფუჭებს და ის ვეღარ შეძლებს გათხოვებას, რაც რეგიონებში გოგოს მომავლის დაღუპვის ტოლფასია. შესაბამისად, ახალგაზრდებს ურჩევნიათ თავიანთი ურთიერთობების „ლეგალიზება“ მოახდინონ, რაც ნიშნობით ან ქორწინებით არის შესაძლებელი და ასეთი ნაბიჯი გოგონებს რეპუტაციის შელახვისგან იცავს. ანუ, ადრეულ ასაკში ქორწინების ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ, გენდერული უთანასწორობაა, ვინაიდან გოგონების მიმართ დაწესებულია ისეთი მოთხოვნები, რომელთა თანახმადაც, მათ არც ერთი ისეთი ნაბიჯი არ უნდა

გადადგან, რომელიც მათ პატიოსნებას ჩრდილს მიაყენებს. თუმცა, იგივე არ მოეთხოვებათ ბიჭებს, პირიქით, ზოგიერთი აღნიშნავდა, რომ ბიჭისთვის უფრო სასახელოა საპირისპირო სქესთან შეხვედრები და ეს მას გამოცდილებათაც კი ეთვლება. მშობლები კი, მიიჩნევენ, რომ გათხოვებით თუ ნიშნობით თავიანთ გოგონებს რისკს აარიდებენ და მას, როგორც თავად ხშირად უწოდებენ, „პატრონს ჩააბარებენ“.

როგორც ირკვევა, ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტების უმრავლესობას არა ბავშვების სითამამე, არამედ მშობლების გადაწყვეტილება უდევს საფუძვლად. ზოგიერთ შემთხვევაში, მშობლები თავად არჩევენ ოჯახებს და შვილების დაუკითხავად წყვეტენ მათი დაოჯახების ამბავს. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც წყვილი პირველად ერთმანეთს ქორწილში ხვდება, ხოლო ნიშნობის რიტუალი მათ გარეშე ტარდება. ასეთი ფორმა, ძირითადად, აზერბაიჯანულ დასახლებებშია გავრცელებული როგორც ეს ჩვენს კვლევაში აღვნიშნე. ძირითადი მამოტივირებელი კი, ოჯახების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. მასწავლებლები თვლიან, რომ მშობლებისთვის იძულებითი ქორწინება ფინანსური გარიგებაა.

როგორც საინფორმაციო შეხვედრებიდან ჩანს, კახეთისა და აჭარის რეგიონში მოტაცებები აღარ ხდება, თუმცა სამცხე–ჯავახეთში, კერძოდ, ახალქალაქში კვლავ დამკვიდრებულ პრაქტიკად ითვლება. რაც შეეხება ადრეულ ასაკში ქორწინების მიზეზებს, მონაწილეთა აზრით, ყველაზე აქტუალური მომავლის პერსპექტივის არქონაა, რაც განათლების მიღებისას ორმაგ სტანდარტს უკავშირდება.

მარნეულში ადრეულ ასაკში ქორწინების დამკვიდრებული ფორმებიდან, ძირითადად, დანიშვნის პრაქტიკა გამოირჩევა. ეს არის ტრადიციის ერთგვარი ფორმა, რომელსაც როგორც წესი, მშობლები წყვეტენ და ამით, გოგონას და ბიჭის ურთიერთობა ოჯახისთვისაც და საზოგადოებისთვისაც ლეგალური და მისაღები ხდება.

ქვემო ქართლის რეგიონში გამოვლინდა, რომ მოტაცებული გოგონების უმრავლესობა საზოგადოებისა და ოჯახის ზეწოლით, იძულებულია ცოლად გაჰყვეს გამტაცებელს, რათა "სახელი არ გაუტყდეს". როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, მოტაცებულ გოგონას არავინ აღარ მოიყვანს ცოლად; ის მუდმივი მითქმა– მოთქმისა და ქილიკისთვისაა განწირული, ხოლო თუ გოგო გათხოვებას ვეღარ შეძლებს, ის „დაღუპულია". ზოგიერთ შემთხვევებში კი, გოგო იძულებულია არ აღიაროს გატაცების ფაქტი, რადგან მისი ოჯახის წევრები არ დადგნენ საფრთხის წინაშე, ვინაიდან შეეცდებიან გამტაცებელზე შური იძიონ.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების პრობლემის, მისი გადაჭრის გზებისა და არსებული ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის დონე ძალიან დაბალია. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ თავად სერვისის მიმწოდებლები და ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტები ვერ აცნობიერებენ პრობლემის არსს და არ ფლობენ ინფორმაციას მათსავე ვალდებულებებზე.

აღსანიშნავია, რომ სავარაუდოდ, ეს მონაცემები ზუსტი არ არის, ვინაიდან ქვემო ქართლის მუნიციპალურ ერთეულებში ჩატარებული შეხვედრების დროს, სკოლის პედაგოგები და დირექტორები არ იყვნენ ინფორმირებულნი იმის შესახებ, რომ აუცილებელია ბავშვთა სკოლის მიტოვების მიზეზების შესახებ სტატისტიკის წარმოება და შესაბამისი შეტყობინების გაკეთება. თუმცა კი, შეხვედრაზე დამსწრეთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ მათ სოფლებში თითქმის არც ერთი გოგონა არ ამთავრებს სკოლას სწორედ იმიტომ, რომ ქორწინდება. ეს გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ აღრიცხვიანობის სისტემის საბოლოო დანერგვის შემდეგ, მონაცემები შესაძლოა კიდევ გაიზარდოს.

4.4 უცხოეთის პრაქტიკა

მთელ მსოფლიოში მცხოვრები 700 მილიონზე მეტი ქალი არასრულწლოვან ასაკშია დაქორწინებული. აქედან, დაახლოებით 250 მილიონი 15 წელს მიუღწეველი იყო. გოგონები, რომლებიც 18 წლის ასაკამდე ქორწინდებიან, ხშირ შემთხვევაში აღარ აგრძელებენ სკოლაში სიარულს და წყვეტენ განათლების მიღებას. ისინი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფს განეკუთვნებიან.

თუ კანონპროექტის - „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ - საინფორმაციო ფურცელს გავეცნობით, ვნახავთ ბევრ საინტერესო ფაქტს იმის შესახებ, როგორ არეგულირებს კანონმდებლობა ქორწინების საკითხს სხვადასხვა ქვეყანაში:;

მაგალითად:
ევროპის ქვეყნების უმეტესობაში მინიმალურ საქორწინო ასაკად დადგენილია 18 წელი. გამონაკლის შემთხვევებში დაქორწინების ნება შეიძლება მიეცეს:

· 15 წლის ასაკიდან - ესტონეთში, ლიტვაში, რუმინეთში;

· 16 წლის ასაკიდან - ავსტრიაში, ბულგარეთში, გერმანიაში, ესპანეთში, ირლანდიაში, იტალიაში, ნიდერლანდებში, ნორვეგიაში, პოლონეთში, პორტუგალიაში, სერბეთში, ჩეხეთში, ხორვატიაში. დასაქორწინებელ პირთაგან ერთ-ერთი მაინც უნდა იყოს საქორწინო ასაკის ავსტრიაშისა და გერმანიაში.

საქორწინო ასაკიდან გამონაკლისს არ ითვალისწინებს შვედეთის კანონმდებლობა. შვედეთის ქორწინების კოდექსში 2014 წელს შევიდა ცვლილება, რომლის

თანახმადაც, საქორწინო ასაკის შემცირებასთან დაკავშირებით გამონაკლისი გაუქმდა. კანონმდებელმა მიიჩნია, რომ 18 წლამდე ასაკის პირის ფსიქოლოგიური, ფიზიკური თუ მენტალური განვითარება ვერ უზრუნველყოფს ქორწინების შემთხვევაში წარმოშობილი პირადი თუ ფინანსური საკითხების გადაჭრის შესაძლებლობას.

გამონაკლის შემთხვევებში ქორწინების ნებართვას გასცემს:

· სასამართლო - ავსტრიაში, ბულგარეთში, გერმანიაში, ესტონეთში, ესპანეთში, ირლანდიაში, იტალიაში, ლიტვაში, პოლონეთში, სერბეთში, ჩეხეთში, ხორვატიაში;
· იუსტიციის მინისტრი - ნიდერლანდებში, ფინეთში;
· სახელმწიფო პროკურორი - საფრანგეთში;
· ოლქის გუბერნატორი - ნორვეგიაში;
· ოლქის სახალხო საბჭო - რუმინეთში;
· მუნიციპალიტეტის საბჭო - დანიაში;
· სამეურვეო ორგანო - უნგრეთში.

შესაბამისი ორგანოს ნებართვის გარდა, სავალდებულოა მშობლების თანხმობა დანიაში, ნიდერლანდებში, საფრანგეთში. მშობლების თანხმობა სავალდებულო არ არის, მაგრამ მოსმენილი უნდა იქნას მშობლების აზრი ქორწინებაზე - ბულგარეთში, გერმანიაში, იტალიაში, უნგრეთში, ფინეთში, ხორვატიაში. თუ მშობელი ქორწინების წინააღმდეგია, ქორწინების ნებართვა გაიცემა იმ შემთხვევაში, როცა წინააღმდეგობის მიზეზები საფუძვლიანად არ იქნება დასაბუთებული.

საქორწინო ასაკის შემცირების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებენ: სამედიცინო დასკვნას ორსულობის თაობაზე, ბავშვის

დაბადებას, დაქორწინების მსურველ პირთა ფიზიკურ, მენტალურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, ფინანსურ სიტუაციას და სხვა.

უცხოეთის პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ შესაბამისი სტრუქტურები მხოლოდ დასჯის მექანიზმით არ შემოფარგლულან, მათ გათვალისწინეს ადამიანის, ბავშვის ინტერესები და პარალელურად გაართულეს პროცედურები, საკითხის გადაწყვეტაში ჩართეს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურა.

სწორედ ამგვარ რეკომენდაციებს წაიკითხავთ საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა თუ განათლების სამინისტროს მისამართით ომბუდსმენის ანგარიშებშიც, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევების დასკვნით ნაწილებშიც და ექსპერტების თვალსაზრისებშიც.

დასკვნა

ნაშრომის ფარგლებში წარმოდგენილია თემა: საქორწინო ასაკის სამართლებრივი მოწესრიგება. საქორწინო ინსტიტუტი კაცობრიობის განვითარების უწყვეტი, თანმდევი და უაღრესად მნიშვნელოვანი კატეგორიაა, ამიტომ კვლევის ობიექტად მივიჩნიეთ შეგვესწავლა ქორწინებისა და ოჯახის საკითხები, მისი ფორმა, წინასაქორწინო ურთიერთობები, საქორწინო ასაკთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლე, ხარვეზები და სხვა.

ნაშრომში დასმული საკითხები გაანალიზებულია ისტორიულ-შედარებითი და სამართლებრივი ანალიზის მეთოდით. კვლევის წყაროებია ადათობრივი სამართალი, ქართული სამართლის ძეგლები, სტატისტიკა საქორწინო ასაკთან მიმართებაში, რომელიც ძირითადად მოპოვებულია ინტერნეტწყაროებიდან, გამოქვეყნებული რესურსებიდან და (face to face) პირსიპირ ჩვენ მიერ წარმოებული ინტერვიუებიდან. ასევე, განვიხილავთ ჩვენ მიერ შედგენილი კითხვარების საფუძველზე ჩატარებუილი კვლევის შედეგებს და სხვა.

ისტორიულად ცნობილია, რომ ოჯახის პირველი ფორმა იყო მატრიარქალური, რომელიც პატრიარქალურმა ფორმამ შეცვალა, სადაც კაცს ოჯახის უფროსს-მამას იმპერატიული უფლებები ჰქონდა ოჯახის წევრების მიმართ. პატრიარქალური იგივე დიდი ოჯახი წარმოადგენდა ორი, სამი და ოთხი თაობის სისხლით მონათესავე ადამიანთა ჯგუფს. სადაც ერთად ცხოვრობდნენ მშობლები და მათი შვილები თავიანთი ოჯახებით და ა. შ.

ახალი სამოქალაქო კანონმდებლობის შემუშავებამ საქორწინო ასაკის სამართლებრივი მოწესრიგების პრობლემათა ახლებურად ხევისა და გადაწყვეტის აუცილებლობა დააყენა დღის წესრიგში. მოქმედი სამართლებრივი ნორმების გამოყენების პროცესში თავს იჩენს გარკვეული საკანონმდებლო ხარვეზები. ისევე

როგორც, ნებისმიერი კანონმდებლობა, ქორწინებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმებიც დროთა განმავლობაში მოითხოვს გარკვეული სახით დახვეწასა და სრულყოფას. აღნიშნული კი, თავის მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია ქორწინებასთან წარმოშობილ სხვადასხვა სადაო საკითხის რაციონალურად გადაწყვეტის მიზნით.

საქორწინო ინსტუიტუტის, კერძოდ კი საქორწინო ასაკის სამართლებრივი მოწესრიგების შესწავლამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა დასკვნები და ჩამოგვეყალიბებინა საკანონმდებლო და პრაქტიკული მნიშვნელობის რეკომენდაციები.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი რეკომენდაციები დაფუძნებულია სამაგისტრო ნაშრომის მომზდებისას შესწავლილი იურიდიული მასალის ანალიზზე და მიღებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე.

1. ნაშრომში განხილულია ქორწინების ინსტიტიტუტის ზოგადი მიმოხილვა საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითზე. საქრთველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მფარველობის სფეროში შემავალ საქართველოს იურიდიული პირის-სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. ქორწინების ნამდვილობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს სწორედ რეგისტრაცია შესაბამის სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში. ქორწინების რეგსტრაციისათვის აუცილებელ პრობას წარმოადგენს ასევე მექორწინეთა ასაკი, რომელიც კანონმდებლობის მიხედვით შეადგენს 18 წელს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გამოკვლეულია იმ ქვეყნების პრაქტიკა, სადაც მინიმალურ საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელზე ნალები, ზოგიერთ შემთვევაში 14-15 წელი და მიგვაჩნია, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საქორწინო

ასაკი-18 წელი სრულებით შეესაბამება ჩვენს ქვეყანაში არსებულ რეალობას, და აღნიშნული ასაკის უფრო დაბლა დაწევა არ იქნება სწორი.

2. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ საოჯახო სამართლის გარკვეული ნორმები წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. კერძოდ კი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსიის 1108-ე მუხლი წინააღმდეგობაში მოდის 1304-ე მუხლის „გ“ პუნქტთან, რომელიც მოიცავს მზრუნველობის შეწყვეტის საფუძვლებს, რომლის თანახმადაც მზრუნველობა შეწყდება: „თუ სამზრუნველო არასრულწლოვანი პირი დაქორწინდა.“ ამ შემთხვევაში აქ იგულისხმება, რომ სამზრუნველო ფუნქციებს მშობელი თუ სხვა სპეციალურად დანიშნული პირი ასრულებს მის სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე, მაგრამ შესაძლებელია მზრუნველობის შეწყვეტა როცა არასრულწლოვანი პირი დაქორწინდება, რის შედეგადაც იგი ქმედუნარიანი ხდება. ზემოთ აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე ეს ნორმა რეალურად ვეღარ იფუნქციონირებს და ამდენაც ეს საკანონმდებლო ხარვეზი საჭიროებს აღმოფხვრას.

3. მარნეულში გამართული საინფორმაციო შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების პრობლემის, მისი გადაჭრის გზებისა და არსებული ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის დონე ძალიან დაბალია. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ თავად სერვისის მიმწოდებლები და ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტები ვერ აცნობიერებენ პრობლემის არსს და არ ფლობენ ინფორმაციას მათსავე ვალდებულებებზე.

გოგონებს არ აქვთ ინფორმაცია სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათთვის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ სპეციალისტთა მიერ სემინარების ორგანიზება, რადგან აქვთ კითხვები, რომლებზეც სპეციალისტების კონსულტაცია ესაჭიროებათ.

საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად არ განხორციელებულა სტრატეგიის შემუშავება ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი პირებისთვის საქართველოსა თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების განსახორციელებლად, მათ შორის, ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებისას არსებული მომსახურებისა და სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანია, რომ გაძლიერდეს ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული აქტივობები და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მასწავლებლების, მშობლებისა და სამართალდამცავი უწყებების ცნობიერების ამაღლებას, ადრეული ქორწინებით გამოწვეული პრობლემებისა და ქვეყანაში არსებული სამართლებრივი რეგულაციების შესახებ.

რეკომენდაციები:

• საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

უზრუნველყოს მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებთან დაკავშირებით არსებულ ვალდებულებებზე;

უზრუნველყოფილი იქნას სკოლებში ღია გაკვეთილების/სემინარების ორგანიზება რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ სპეციალისტთა მონაწილეობით;

სამოქალაქო განათლების სწავლებისას მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმოს ადრეულ ასაკში ქორწინებისა თუ სხვა გენდერული უთანასწორობის საკითხების მხრივ, საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას საქართველოს.

• შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

განხორციელდეს ეთნიკური ჯგუფებისათვის მშობლიური ენის მცოდნე ფსიქოლოგების მოძიება, რათა ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე მოხდეს ადეკვატური რეაგირება;

მოხდეს სტრატეგიის შემუშავება ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი პირებისთვის საქართველოსა თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების განსახორციელებლად, მათ შორის, ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებისას არსებული მომსახურებისა და სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად.

• საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

უზრუნველყოფილ იქნას ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე რეაგირების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება და უბნის ინსპექტორის როლის გაძლიერება, რათა მოახდინოს ადგილობრივი თემის (განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა) ინფორმირება და შესთავაზოს კონსულტაციები ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე.

ბოლოს, გვინდა კიდევ ერთხელ დავაფიქსიროთ ჩვენი მოსაზრება, რომ წინამდებარე ნაშრომში მოცემული საკანონმდებლო ინიციატივები და სამართლებრივი რეკომენდაციები ხელს შეუწყობს საქორწინო ასაკის სამართლებრივ მოწესრიგებას და მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი, 2000

3. ლ. ჭანტურია,სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწლი, თბილისი 2011;

4. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში,. თბილისი., 1997,გვ.

5. ივ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი,. თბილისი 2002.

6. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე,. თბილისი., 1928

7. შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2000

8. რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი,. თბილისი.,2015

9. რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია. საოჯახო სამართალი,. თბილისი., 2009

10. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის მიერ დამზადებული ტექსტით, გამოკვლევათა და ტერმინთა საძიებელი, თბილისი., 1955

11. ს. ჯორბენაძე, საოჯახო სამართლის საფუძვლები კრებულში „სამართლის საფუძვლები“, თბილისი, 1977;

12. გ. ნადარეიშვილი. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2005

13. გ. ნადარეიშვილი. ძველი ქართული საოჯახო სამართალი, გამომც. სამთავისი, თბილისი, 1996 წ.

14. ი. პერეტერსკი. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია,. 1947

15. ვალერიან მეტრეველი. რომის სამართალი (საფუძვლები),. თბილისი.,2013

16. ფუტკარაძე ი., ქორწინების წესები ქართული სამართლის მიხედვით, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2012

17. ზვიად გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2006

18. შალვა ჩიკვაიშვილი. საოჯახო სამართალი,. თბილისი.,2004

19. ბექაია მ., ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, თბილისი., 1980

20. ხარაძე რ., დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში 1939

21. ი.ფუტკარაძე, ქორწინების წესები ქართული სამართლის მიხედვით. ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შრომები, თბილისი, 1977

22. ლ. ასლამაზიშვილი - ქალის უფლებები ქორწინების და გტანქორწინების შემდეგ XV საუკუნის საქართველოში (მზითვი), „უნივერსალი“, თბილისი, 2016

23. М. В. Антокольская ,Гражданское учебник под семейное право , М., 1996

24. Л. МОРГАН, . ДРЕВНЕЕ ОБШЕСТВО. М. , 1936. С 2002

25. П. Седугина, комментарии к семеиному кодексу РФ под обин ред Крашениковаб. М., 1997.,С 2

26. Мослов В.Ф, Подопригора З. А, Пушктн А. А, Деиствуношее законогательство о браке и семье. Харьков, 1992

ინტერნეტწყაროები

საქართველოს პროკურატურის წერილები #13/60324 / 25.09.15 – #13/5363 / 23.01.16

საქართველოს პროკურატურის წერილი #13/60324 / 25.09.15

საქართველოს პროკურატურის წერილი #13/5363 / 23.01.16

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი #04/16119; 09/03/2015

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილები #04/71601 / 22.09.15 – #04/3552 / 18.01.16

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილები # MES 7 15 00971410 / 25.09.15 – MES 8 16 00046633 /21.01.16

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილები: #7264 / 23.09.2015; #01/14677 / 25.01.16;